



**გალატი & თხოვრები**

ვმშენიერებთ შესაძლებლობებს



# განათლების საქტორი საქართველოში

**საქართველო | განათლება**

სექტორის მიმოხილვა

28 ივლისი, 2020

**ევა ბოჭორიშვილი**

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | [evabochorishvili@gt.ge](mailto:evabochorishvili@gt.ge) | +995 32 2401 111 ext. 8036

**ნინო პერანიძე**

ანალიტიკოსი | [ninoperanidze@gt.ge](mailto:ninoperanidze@gt.ge) | +995 32 2401 111 ext. 4690

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე



საქართველოს განათლების სექტორში 2000-იანი წლების შუა ნახევრიდან გატარებული რეფორმების შედეგად გაიზარდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური და მმართველობითი ავტონომია, გაუმჯობესდა განათლების ინსტიტუციური სტრუქტურა, აღმოიფხვრა კორუფცია და გაუმჯობესდა განათლების ხელმისაწვდომობა. შედეგად:

- სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე მშპ-ს 2.8%-დან 3.6%-მდე გაიზარდა 2010-19 წლებში
- სკოლაში დასწრების მაჩვენებელმა გადააჭარბა ევროკავშირის საშუალო დონეს
- დაქირავებით დასაქმებასა და საშუალო ანაზღაურებას აქვს პოზიტიური დინამიკა

შეზღუდული სახელმწიფო რესურსების გათვალისწინებით, განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად მთავრობამ კერძო განათლების სექტორის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბიზნეს გარემო უზრუნველყო. შედეგად, საქართველოში კერძო განათლების წილი მაღალია რეგიონის ქვეყნებთან შედარებით.

სექტორში არსებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, საქართველოში მოსწავლეთა აკადემიური შედეგები არასახარბიელოა საერთაშორისო კვლევების მიხედვით (TIMSS, PIRLS, PISA და ა.შ.). ამასთან, განათლების სისტემა ჯერ კიდევ ვერ ახერხებს სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კურსდამთავრებულების მომზადებას:

- 15-დან 24 წლამდე ასაკის მოსახლეობაში ყოველი მეოთხე არც დასაქმებულია და არც სწავლობს
- ახალგაზრდების უმუშევრობის ალბათობა 2-2.5-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მათი მშობლების
- უნარების დეფიციტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა დამსაქმებლებისთვის

არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ განათლების სექტორში რეფორმების ახალი ტალღა გამოაცხადა და გეგმავს განათლების დაფინანსების მშპ-ს 6%-მდე ზრდას 2022 წლიდან, რაც ბევრად აღემატება ამჟამინდელ 3.6%-ს. ამასთან, დაგეგმილი რეფორმების მთავარი კომპონენტებია ახალი სკოლის მოდელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი. ეს ყველაფერი მიზნად ისახავს ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

წინამდებარე კვლევაში ინვესტორები და გადაწყვეტილების მიმღები პირები გაეცნობიან ჩვენს ხედვას განათლების სექტორში არსებულ ძირითად ტენდენციებზე, გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე. კვლევა მოიცავს 5 ძირითად თავს, დაწყებული განათლების ინდუსტრიის ზოგადი მიმოხილვით, რასაც მოსდევს განათლების ქვე-სექტორების დეტალური ანალიზი (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) და ბოლოს განხილულია შრომის ბაზარი და განათლების ეკონომიკური სარგებელი კურსდამთავრებულე-ბისთვის.





## შინაარსი

|   |           |
|---|-----------|
| <b>განათლების სექტორი საქართველოში</b>  | <b>1</b>  |
| <b>ტერმინები და განმარტებები</b>  | <b>4</b>  |
| <b>ძირითადი მიგნებები</b>   | <b>5</b>  |
| <b>განათლების სექტორის მიმოხილვა</b>  | <b>7</b>  |
| საქართველოს განათლების სისტემა  | 7         |
| განათლების სექტორის შემოსავლები   | 8         |
| სახელმწიფო დანახარჯები  | 9         |
| კერძო სექტორი   | 10        |
| <b>საშუალო განათლება</b>  | <b>12</b> |
| ბაზრის ზომა   | 13        |
| ჩარიცხვის ტენდენციები   | 14        |
| კერძო სექტორი   | 15        |
| კონსოლიდაციის შესაძლებლობა  | 16        |
| ზოგადი განათლების ხარისხი საქართველოში  | 18        |
| მასწავლებლების ოპტიმიზაცია  | 19        |
| ჩრდილოვანი განათლება - კერძო რეპეტიტორობა   | 22        |
| <b>პროფესიული განათლება</b>   | <b>23</b> |
| ჩარიცხვის ტენდენციები   | 24        |
| არასაკმარისი დაფინანსება  | 27        |
| <b>უმაღლესი განათლება</b>   | <b>28</b> |
| ბაზრის ზომა   | 29        |
| ჩარიცხვის ტენდენციები   | 30        |
| პრობლემა #1: აბიტურიენტების სტაბილური მიწოდება  | 32        |
| პრობლემა #2: ხელმისაწვდომობა  | 33        |
| პრობლემა #3: სწავლის დაგვიანებული დამთავრება  | 34        |
| შესაძლებლობა #1: უფროსი ასაკობრივი ჯგუფები  | 35        |
| შესაძლებლობა #2: საერთაშორისო სტუდენტები  | 36        |
| შესაძლებლობა #3: კონსოლიდაცია   | 38        |
| <b>განათლების ეკონომიკური სარგებელი</b>   | <b>40</b> |
| კითხვა #1: როგორ მუშაობს საქართველოს შრომის ბაზარი?   | 41        |
| კითხვა #2: რატომ არ შეესაბამება კურსდამთავრებულების მიწოდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს?        | 46        |
| კითხვა #3: აქვს თუ არა განათლებაში ინვესტიციას ეკონომიკური სარგებელი კურსდამთავრებულებისთვის? | 49        |
| <b>დანართი</b>  | <b>53</b> |
| დანართი 1: საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა  | 54        |
| დანართი 2: ძირითადი ინდიკატორები  | 55        |
| დანართი 3: რეფორმები განათლების სექტორში  | 56        |
| დანართი 4: განათლების სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურა   | 57        |
| დანართი 5: განათლების დაფინანსების მოდელები   | 57        |
| დანართი 6: ღია ონლაინ კურსები (MOOCs)   | 58        |
| დანართი 7: დასწრების მაჩვენებლები გლობალურად  | 59        |
| დანართი 8: დემოგრაფიული ტრენდები  | 60        |
| <b>მნიშვნელოვანი შეტყობინება</b>  | <b>63</b> |



## ტერმინები და განმარტებები

**საქსტატი** - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**EuroStat** - ევროკავშირის სტატისტიკის სამსახური

**OECD** - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

**EMIS** - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

**NAEC** - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

**სკოლაში დასწრების მაჩვენებელი** - მოსწავლეების პროცენტული წილი იმ მოსახლეობაში, რომელთა ასაკიც შეესაბამება მოცემულ საგანმანათლებლო საფეხურს

**უმაღლეს განათლებაზე დასწრების მაჩვენებელი** - სტუდენტების პროცენტული წილი იმ მოსახლეობაში, რომელთა ასაკიც შეესაბამება მოცემულ საგანმანათლებლო საფეხურს, რაც გულისხმობს სკოლის დამთავრების ასაკიდან 5 წლის დიაპაზონს.

**კერძო ჩარიცხვის მაჩვენებელი** - იმ მოსწავლეთა/სტუდენტთა პროცენტული წილი მოცემულ დონეზე ჩარიცხული მოსწავლეების/სტუდენტების საერთო რაოდენობაში, რომლებიც სწავლობენ კერძო კომერციულ ან არაკომერციულ (მაგ. არასამთავრობო ორგანიზაცია, რელიგიური დაწესებულება, ფონდი ან სხვა) დაწესებულებებში.

**ICT** - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

**M&A** - შერწყმა და შესყიდვა

**PPS (Purchasing Power Standard)** - ხელოვნური ვალუტის ერთეული, ერთ PPS-ს შეუძლია ერთიდაიმავე რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შეძენა თითოეულ ქვეყანაში

**მშპ** - მთლიანი შიდა პროდუქტი

**მეშ** - მთლიანი ეროვნული შემოსავალი

**ეკონომიკური აქტივობის დონე** - ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალა) პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში

**დასაქმების დონე** - შრომისუნარიან (15წ+) მოსახლეობაში დასაქმებულთა პროცენტული წილი

**უმუშევრობის დონე** - უმუშევართა პროცენტული წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობაში

**თვითდასაქმების დონე** - თვითდასაქმებულთა პროცენტული წილი დასაქმებულებში

**NEET მაჩვენებელი** - იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი 15-დან 24 წლამდე ასაკის მოსახლეობაში, ვინც არ მუშაობს, არ სწავლობს და არ გადის რაიმე ტიპის ტრენინგებს

**ურბანიზაციის დონე** - ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში

**UNECE** - გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპაში

**MOOCs** - მასობრივი ღია ონლაინ კურსები



## ძირითადი მიგნებები

საქართველოს განათლების სექტორის შემოსავლებმა 2.0 მლრდ ლარი (მშპ-ს 4.1%) შეადგინა 2019 წელს, საიდანაც კერძო სექტორის წილი 0.5 მლრდ ლარია. კერძო განათლების სექტორის შემოსავლები და მომგებიანობის მაჩვენებლები მზარდია. სექტორის წმინდა მოგების მარჟამ 2018 წელს 20.4% შეადგინა, რაც სამჯერ აღემატება მთლიანი ბიზნეს სექტორის მომგებიანობის საშუალო მაჩვენებელს საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე გასამზადდა 2010-19 წლებში მშპ-ს 3.6%-მდე, ეს ინდიკატორი დაბალია დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, სადაც განათლების ხარჯები მშპ-ს 5%-ზე მეტია. მთავრობა გეგმავს განათლებასთან დაკავშირებული ხარჯების მშპ-ს 6%-მდე ზრდას 2022 წლიდან, რაც მიზნად ისახავს ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერას. ჩვენი შეფასებით, განათლების სექტორი მაღალი ერთნიშნა ტემპით გაიზრდება საშუალოვადიან პერიოდში, რასაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო დაფინანსების ზრდა და განათლების სერვისებზე მზარდი მოთხოვნა.

**ზოგადი განათლება** ყველაზე დიდი ქვე-სექტორია ჯამური ჩარიცხვების 78%-ით (გარდა სკოლამდელი) და შემოსავლების 46%-ით. მოსწავლეების უმრავლესობა საჯარო სკოლებშია კონცენტრირებული. ამავდროულად, კერძო სკოლებში იზრდება, როგორც მოსწავლეების, ისე სწავლის საფასურის მოცულობა, რაც მომხმარებლის აღქმით კერძო სკოლების მიერ ხარისხიანი განათლების მიწოდებას უკავშირდება. ჩვენი მოლოდინით, კერძო სექტორის ზრდა გაგრძელდება, რასაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, ურბანიზაცია და პოზიტიური დემოგრაფიული ტენდენციები საშუალოვადიან პერიოდში. სექტორის საოპერაციო შედეგების გაუმჯობესებაზე პოზიტიური გავლენა ექნება ბაზრის მოთამაშეების გამსხვილებას. განათლების ხარისხი კვლავ პრობლემაა, თუმცა მოსალოდნელია აკადემიური შედეგების გაუმჯობესება მასწავლებელთა ხელფასების დაგეგმილი ზრდისა და სხვა რეფორმების საფუძველზე.

**პროფესიული განათლება** საქართველოში არაპრესტიჟულია. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით პროფესიულ პროგრამებზე 15.6 ათასი სტუდენტი სწავლობდა, რაც შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 6%-ია. ზრდის მიუხედავად, პროფესიულ განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები კვლავ მცირეა და მთლიანი განათლების ხარჯების მხოლოდ 3.2%-ს შეადგენდა 2019 წელს. ამასთან, პროფესიული კოლეჯების ხელმისაწვდომობას ზღუდავს ის ფაქტი, რომ მათი უმეტესი ნაწილი თბილისშია კონცენტრირებული. დაგეგმილი რეფორმებისა და სახელმწიფო ხარჯების ზრდის გათვალისწინებით, მოსალოდნელია პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტების ზრდა.

- მოსწავლეების რაოდენობა არსებული 592.9 ათასიდან 634.8 ათასამდე გაიზრდება 2024 წლისთვის, ჩვენი შეფასებით
- კერძო სექტორში ჩარიცხვების წილი ამჟამინდელი 10.6%-დან 11.5%-მდე გაიზრდება 2024 წლისთვის
- კერძო სკოლების საშუალო შემოსავალმა ერთ მოსწავლეზე 3,700 ლარი შეადგინა 2019 წელს
- კერძო სკოლების წმინდა მოგების მარჟა 19.7%-ს შეადგენდა 2018 წელს
- საქართველოში პროფესიულ პროგრამებზე ახალგაზრდების 6% და მოსწავლეების მხოლოდ 3% სწავლობს, ევროკავშირში ეს მაჩვენებელი მოსწავლეების 48%-ია
- კერძო პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტების 35.4% სწავლობს
- სახელმწიფოს ხარჯები პროფესიულ განათლებაზე 2020 წელს 54.3 მლნ ლარს შეადგენს, რაც განათლების დაფინანსების მხოლოდ 3.6%-ია



კერძო უმაღლესი განათლების სექტორის ფინანსური მაჩვენებლები ჯანსაღია. ჩვენი მოლოდინები სექტორის მიმართ ოპტიმისტურია, რაც გამყარებულია შემდეგი ფაქტორებით: (i) შინამეურნეობების შემოსავლების ზრდა, (ii) გაზრდილი მოთხოვნა უფროსი ასაკობრივი ჯგუფებისა და უცხოელი სტუდენტებისგან, (iii) შედარებით დაბალი პენტრაჯის დონე. ჩვენი აზრით მსხვილი მოთამაშეების დომინანტობა ბაზარზე გაიზრდება, მათი უკეთესი საოპერაციო მდგომარეობისა და მასშტაბის ეკონომიის ხარჯზე. ჩვენ ველოდებით კონსოლიდაციის პროცესის გააქტიურებას, რადგან სექტორი კვლავ ფრაგმენტურია. ამასთან, აბიტურიენტების სტაბილური რიცხვი და დაბალი ხელმისაწვდომობა აფერხებს სექტორის ზრდას. სწავლის საფასური მძიმე ტვირთია სტუდენტებისთვის, რადგან ისინი ფინანსურად ძირითადად ოჯახებზე არიან დამოკიდებულნი, ხოლო სახელმწიფო დაფინანსება და საკუთარი შემოსავალი მცირეა.

უმაღლესი განათლება საქართველოში დასაქმების შანსს უმნიშვნელოდ ზრდის და სახელფასო დანამატს მცირედით აუმჯობესებს. დაბალი უკუების მიზეზები კომპლექსურია: (i) უმაღლესი განათლების სისტემა ჭარბი რაოდენობის კურსდამთავრებულებს აწვდის ეკონომიკას, სადაც მოთხოვნა მაღალია დაბალი კვალიფიკაციის მქონე, დაბალანაზღაურებად პერსონალზე, (ii) სკოლისა და უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულები იღებენ არაინფორმირებულ გადაწყვეტილებებს კარიერის დაგეგმვაში, (iii) ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ ხდება საჭირო უნარების გამომუშავება. შედეგად, ქართველ ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე მაღალია, მნიშვნელოვანი შეუსაბამობაა დასაქმებულების პროფესიებსა და დაკავებულ პოზიციებს შორის და მაღალია თვითდასაქმების დონე.

- უმაღლეს განათლებაზე ჩარიცხვის მაჩვენებელმა 60%-ს გადააჭარბა 2018 წელს
- ჩვენი შეფასებით, სტუდენტების რიცხვი 2024 წლისთვის 160.3 ათასს მიაღწევს, ამჟამინდელი 152.8 ათასიდან
- კერძო ჩარიცხვების წილი 35.4%-ია და ჩვენი შეფასებით 37.4%-მდე გაიზრდება 2024 წლისთვის
- უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება დაბალია საქართველოში
- კერძო სექტორის წმინდა მოგების მარჟამ 25% შეადგინა 2017-18 წლებში

- 15-დან 24 წლამდე ასაკის ადამიანებიდან ყოველი მეოთხე არც სწავლობს და არც მუშაობს
- დამწყებ პოზიციებზე ვაკანსიების დაახლოებით 60% არ მოითხოვს უმაღლეს განათლებას, ჩვენი შეფასებით
- დასაქმებულთა უმეტესობა დაბალ-პროდუქტიულ, დაბალანაზღაურებად სექტორებშია კონცენტრირებული
- დასაქმებულთა მხოლოდ 13% მუშაობს საკუთარი პროფესიით



# განათლების სექტორის მიმოხილვა

## საქართველოს განათლების სისტემა


საქართველოს განათლების სისტემა მოიცავს სამ ძირითად საფეხურს: 1) ზოგადი განათლება, 2) პროფესიული განათლება და 3) უმაღლესი განათლება (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 1). ზოგადი განათლება გრძელდება 12 წელი და იყოფა სამ საფეხურად:

- დაწყებითი განათლება – 1-6 კლასი
- საბაზო განათლება – 7-9 კლასი
- საშუალო განათლება – 10-12 კლასი (ან სწავლა გრძელდება პროფესიულ სასწავლებლებში)

უმაღლესი განათლება ასევე სამ საფეხურს მოიცავს:

- ბაკალავრიატი (ან ერთ-ციკლიანი პროგრამები)
- მაგისტრატურა
- დოქტორანტურა

### დიაგრამა 1: განათლების სისტემა საქართველოში



წყარო: განათლების სამინისტრო

\*მოიცავს სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც იღებენ სტუდენტებს პროფესიულ პროგრამებზე

შენიშვნა: ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დონეზე მოსწავლეების/სტუდენტების რაოდენობა მოცემულია 2019 წლის სექტემბრის მდგომარეობით, ხოლო პროფესიულ საფეხურზე 2019 წლის დეკემბრის მონაცემებით.

საქართველოში საგანმანათლებლო მომსახურებას აწვდიან სამი ტიპის ინსტიტუტები: (i) საჯარო - არაკომერციული, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და მართვადი ორგანიზაციები, (ii) კერძო კომერციული



დაწესებულებები, რომლებიც დაფუძნებულია კერძო სექტორის მიერ მოგების მიღების მიზნით, და (iii) კერძო არაკომერციული ინსტიტუტები, რომლებიც არაა დაფუძნებული მოგების მიღების მიზნით (მაგალითად საპატრიარქოს სკოლები). აღსანიშნავია, რომ საგადასახადო სისტემა ხელსაყრელია კერძო სექტორისთვის, რადგან განათლება თავისუფლდება დამატებული ღირებულების (დღგ) გადასახადისგან.

**ცხრილი 1: საგანმანათლებლო მომსახურებას საქართველოში აწვდიან სამი ტიპის ინსტიტუტები**

დაწესებულებებისა და ჩარიცხვების რაოდენობა საფეხურების მიხედვით, 2019/20

| საფეხური             | დაწესებულების ტიპი  | დაწესებულების რაოდენობა | ჩარიცხვები, '000 ადამიანი | ჩარიცხვები, % |
|----------------------|---------------------|-------------------------|---------------------------|---------------|
| ზოგადი განათლება     | საჯარო              | 2,086                   | 530.1                     | 89.4%         |
|                      | კერძო კომერციული    | 184                     | 52.9                      | 8.9%          |
|                      | კერძო არაკომერციული | 43                      | 9.9                       | 1.7%          |
|                      | <b>სულ</b>          | <b>2,313</b>            | <b>592.9</b>              | <b>100.0%</b> |
| უმაღლესი განათლება   | საჯარო              | 19                      | 98.8                      | 64.6%         |
|                      | კერძო კომერციული    | 29                      | 45.0                      | 29.5%         |
|                      | კერძო არაკომერციული | 14                      | 9.0                       | 5.9%          |
|                      | <b>სულ</b>          | <b>62</b>               | <b>152.8</b>              | <b>100.0%</b> |
| პროფესიული განათლება | საჯარო              | 43                      | 10.1                      | 64.6%         |
|                      | კერძო კომერციული    | 57                      | 5.4                       | 34.3%         |
|                      | კერძო არაკომერციული | 5                       | 0.2                       | 1.1%          |
|                      | <b>სულ</b>          | <b>105</b>              | <b>15.6</b>               | <b>100.0%</b> |

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი


**განათლების სექტორის შემოსავლები**

ჩვენი შეფასებით, საქართველოს განათლების სექტორის შემოსავლებმა 2.0 მლრდ ლარი შეადგინა 2019 წელს (მშპ-ს 4.1%). კერძო სექტორის წილი მზარდია და 2019 წელს 0.5 მლრდ ლარს, ანუ მთლიანი ბაზრის 26.3%-ს მიაღწია. ჩვენი შეფასებით, განათლების სექტორის ზრდა მაღალი ერთნიშნა ზრდის ტემპით გაგრძელდება საშუალოვადიან პერიოდში, რასაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო დაფინანსების ზრდა და განათლების სერვისებზე მზარდი მოთხოვნა.


**გრაფიკი 1: განათლების სექტორის შემოსავლები წლიურად 11.6%-ით (CAGR) იზრდებოდა 2009-19 წლებში**

შემოსავლები განათლების ქვე-სექტორების მიხედვით, მლრდ ლარი

კერძო და საჯარო სექტორის შემოსავლები, მლრდ ლარი



წყარო: ვინანსთა სამინისტრო, საქსტატი, გალტ & თაგარტი



წყარო: ვინანსთა სამინისტრო, საქსტატი, გალტ & თაგარტი






## სახელმწიფო დანახარჯები

განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები გასამმაგდა 2010-19 წლების განმავლობაში და 1.8 მლრდ ლარს მიაღწია. შედეგად, განათლების წილი მთლიან სახელმწიფო ხარჯებში 3.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 11.9%-მდე იმავე პერიოდში. 2019 წელს განათლებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან, დაფინანსების ნახევარი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურს მოხმარდა, 7.5% უმაღლესს და მხოლოდ 2.8% პროფესიულ განათლებას. დანარჩენი ხარჯები განკუთვნილი იყო სკოლამდელი განათლების (15.3%) ინფრასტრუქტურული პროექტების (14.7%), მეცნიერების ხელშეწყობის (3.4%) და სხვა დამხმარე პროგრამებისთვის (6.5%).


### გრაფიკი 2: სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე იზრდება 12.7%-ით (CAGR) 1.8 მლრდ ლარამდე 2010-19 წლებში

სახელმწიფო დანახარჯი განათლებაზე



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო დანახარჯის სტრუქტურა განათლებაზე, 2019




წყარო: ფინანსთა სამინისტრო

საქართველოში სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე მშპ-სთან მიმართებით 2.8%-დან 3.6%-მდე გაიზარდა 2010-19 წლებში. ამ პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, ეს ინდიკატორი დაბალია დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, სადაც განათლების ხარჯები მშპ-ს 5%-ზე მეტია. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად განათლებაზე დანახარჯები მშპ-ს 6%-მდე გაიზრდება 2022 წლიდან, განათლების სისტემის ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით.

### გრაფიკი 3: სახელმწიფო საგანმანათლებლო დანახარჯების წილი მშპ-ში საქართველოში დაბალია

განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მშპ-ში, უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები



წყარო: Eurostat, მსოფლიო ბანკი, საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი




### კერძო სექტორი

ხელსაყრელი ბიზნეს გარემოსა და მზარდი მოთხოვნის შედეგად, კერძო (კომერციული) განათლების სექტორის შემოსავლები მაღალი ტემპით იზრდებოდა 2009-19 წლებში (16.3% CAGR) და 0.5 მლრდ ლარს მიაღწია. კერძო განათლების სექტორის მომგებიანობა მაღალია: EBITDA მარჯამ 26.4%-ს მიაღწია 2018 წელს, ხოლო წმინდა მოგების მარჯამ 20.4%-მდე გაუმჯობესდა იმავე პერიოდში. მზარდი შემოსავლისა და მომგებიანობის გარდა, განათლების სექტორი მაღალი ლიკვიდობითაც გამოირჩევა: საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა სწავლის საფასურს იღებს წინასწარ, რაც ზრდის კომპანიების საოპერაციო და ფინანსურ ეფექტურობას.

ხელფასები სექტორის მთავარი დანახარჯია და მთლიანი საოპერაციო ხარჯების 65%-ს შეადგენს. ამასთან, კერძო სექტორში ხელფასები საჯარო სექტორთან შედარებით 20-30%-ით მაღალია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ დაანონსებული ხელფასების ზრდა საჯარო სექტორში, კერძო სექტორშიც გავრცელდა ხელფასებს, რათა არ მოხდეს კვალიფიციური კადრების გადინება. ეს შეიძლება უარყოფითად აისახოს მომგებიანობაზე. ჩვენი შეფასებით, სახელფასო დანახარჯების 15%-იანი ზრდა წმინდა მოგების მარჯამს შეამცირებს 7.0 პროცენტული პუნქტით, იმ შემთხვევაში თუ სწავლის საფასური არ შეიცვლება ან სხვა ხარჯები არ შემცირდება.

**გრაფიკი 4: კერძო განათლების სექტორის მომგებიანობა მაღალია**


კერძო განათლების სექტორის მომგებიანობა



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: სექტორის მოგება არის მომგებიანი კომპანიების მოგებების ჯამი, ხოლო ზარალი - წამგებიანი კომპანიების ზარალის ჯამი. სექტორის წმინდა მოგების მარჯამი = (მოგება - ზარალი) / სექტორის მთლიანი შემოსავალი

**გრაფიკი 5: ძირითადი ხარჯია ხელფასები**

საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა, 2018



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი



## COVID-19-ის გრძელვადიანი ზეგავლენა

ჩვენი აზრით, განათლების სექტორი სტაბილურად გაიზრდება პოსტ-პანდემიურ პერიოდში. აღსანიშნავია, რომ გრძელვადიან პერიოდში სექტორის ზრდას სამთავრობო ხარჯები და საგანმანათლებლო სერვისებზე მოთხოვნა განსაზღვრავს, რომლებიც შედარებით მდგრადია მაკროეკონომიკური რყევების მიმართ. ჩვენი შეფასებით, COVID-19 პანდემიის გრძელვადიანი გავლენა საქართველოს განათლების სექტორზე პოზიტიური იქნება და ხელს შეუწყობს: სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების დაჩქარებულ ადაპტაციას, რეგიონებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდას, მთავრობის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შინამეურნეობების მიერ განათლების ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას.

**COVID-19-მა განათლებაში სტრუქტურული ცვლილებები დააჩქარა.** მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში განათლებაში თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები ხელმისაწვდომია, მათი გამოყენება პრობლემად რჩებოდა. გაუმჯობესების მიუხედავად, წვდომა ინტერნეტსა და კომპიუტერებზე საქართველოში ჯერ კიდევ შეზღუდულია, განსაკუთრებით რეგიონებში (ინტერნეტი ხელმისაწვდომი იყო შინამეურნეობების 86%-სთვის ქალაქად და 70%-სთვის სოფლად 2019 წლის ივლისის მდგომარეობით, მაშინ როდესაც კომპიუტერებზე იგივე მაჩვენებლებია 75% და 45%). პანდემიამ დააჩქარა სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენება:

1. ქვეყნის მასშტაბით სტუდენტებისა და მასწავლებლების ინტერნეტზე წვდომის ზრდა
2. უმოკლეს ვადაში მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეთა ჩართვა ციფრულ სასწავლო პროცესში, რაც ზოგადად გრძელვადიანი პროცესია.

**სექტორს სარგებელს მოუტანს პანდემიის დროს შექმნილი ახალი სასწავლო პლატფორმები,** როგორებიცაა ელექტრონული ბიბლიოთეკა, ტელესკოლა, აბიტურიენტებისათვის ვებ-სკოლა, i-სკოლა (ონლაინ ბანკი სავარჯიშოებისთვის) და სხვა პლატფორმები.

ზოგადი განათლება





**ზოგადი განათლება** ყველაზე დიდი ქვე-სექტორია ჯამური ჩარიცხვების 78%-ით (გარდა სკოლამდელი) და შემოსავლების 46%-ით. მოსწავლეების უმრავლესობა საჯარო სკოლებშია კონცენტრირებული. ამავდროულად, კერძო სკოლებში იზრდება, როგორც მოსწავლეების, ისე სწავლის საფასურის მოცულობა, რაც მომხმარებლის აღქმით კერძო სკოლების მიერ ხარისხიანი განათლების მიწოდებას უკავშირდება. ჩვენი მოლოდინით, კერძო სექტორის ზრდა გაგრძელდება, რასაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, ურბანიზაცია და პოზიტიური დემოგრაფიული ტენდენციები საშუალოვადიან პერიოდში. სექტორის საოპერაციო შედეგების გაუმჯობესებაზე პოზიტიური გავლენა ექნება ბაზრის მოთამაშეების გამსხვილებას. განათლების ხარისხი კვლავ პრობლემაა, თუმცა მოსალოდნელია აკადემიური შედეგების გაუმჯობესება მასწავლებელთა ხელფასების დაგეგმილი ზრდისა და სხვა რეფორმების საფუძველზე.

- მოსწავლეების რაოდენობა 592.9 ათასიდან 634.8 ათასამდე გაიზარდა 2019-24 წლებში, ჩვენი შეფასებით
- კერძო სექტორში ჩარიცხვების წილი ამჟამინდელი 10.6%-დან 11.5%-მდე გაიზარდა 2024 წლისთვის
- კერძო სკოლების საშუალო შემოსავალმა ერთ მოსწავლეზე 3,700 ლარს მიაღწია 2019 წელს
- კერძო სკოლების წმინდა მოგების მარჟა 19.7%-ს შეადგენდა 2018 წელს


## ბაზრის ზომა

ზოგადი განათლების სექტორის შემოსავლები 343 მლნ ლარიდან 939 მლნ ლარამდე გაიზარდა 2009-19 წლებში, ჩვენი შეფასებით. აქედან, საჯარო სკოლებმა 2019 წელს მთლიანი შემოსავლის 75.7% მიიღო. აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის წილი მზარდია (+8.6 პროცენტული პუნქტი 2009-19 პერიოდში) და 24.3%-ს აღწევს. საჯარო სკოლები სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო კერძო სკოლების შემოსავლები გენერირდება როგორც შინამეურნეობების ჯიბიდან გადახდებით (რაც მთლიანი შემოსავლების 91.9%-ია 2019 წლის მდგომარეობით), ისე მთავრობის დაფინანსებით (ყოველწლიურად 300 ლარი ერთ მოსწავლეზე, 8.1% წილი მთლიან შემოსავლებში).

ამასთან, კერძო სექტორის შემოსავლების ზრდა განპირობებულია როგორც ჩარიცხვების (იხ. გვ. 14), ისე სწავლის საფასურის ზრდით. აღსანიშნავია, რომ 2009-19 წლების განმავლობაში საშუალო შემოსავალი ერთ მოსწავლეზე გასამმაგდა 1,100 ლარიდან 3,700 ლარამდე.

### გრაფიკი 6: ზოგადი განათლების სექტორის შემოსავლები იზრდება


საშუალო განათლების სექტორის შემოსავალი, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თავარტი

### გრაფიკი 7: კერძო სკოლებში შემოსავალი ერთ მოსწავლეზე მზარდია

კერძო საშუალო განათლების სექტორის შემოსავალი




წყარო: საქსტატი, გალტ & თავარტი

კერძო ზოგადი განათლების სექტორის მომგებიანობა ბოლო ათწლეულში გაუმჯობესდა, თუმცა ხასიათდებოდა მერყევი დინამიკით (იხ. გრაფიკი 8). სექტორის წმინდა მოგებამ 2018 წელს 35.9 მლნ ლარი შეადგინა და შესაბამისად წმინდა მოგების მარჟა 19.7%-ს გაუტოლდა იმავე პერიოდში.



**გრაფიკი 8: კერძო სკოლების მომგებიანობა გაუმჯობესდა**

კერძო საშუალო განათლების სექტორის მოგება-ზარალი



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: შენიშვნა: სექტორის მოგება არის მომგებიანი კომპანიების მოგებების ჯამი, ხოლო ზარალი - წამგებიანი კომპანიების ზარალის ჯამი. სექტორის წმინდა მოგების მარჟა = (მოგება - ზარალი) / სექტორის მთლიანი შემოსავალი


**ჩარიცხვის ტენდენციები**

საქართველოს სკოლებში დასწრების თითქმის აბსოლუტური მაჩვენებელი აქვს (96% წმინდა დასწრების მაჩვენებელი 2018 წელს). მოსწავლეთა რაოდენობა 2013 წლამდე მცირდებოდა, თუმცა დემოგრაფიული ტენდენციების გაუმჯობესებასთან ერთად მოსწავლეთა რაოდენობაც გაიზარდა და 2019 წლის შემოდგომისთვის სკოლებში 592.9 ათასი მოსწავლე სწავლობდა. ჩვენი შეფასებით, მოსწავლეების რაოდენობა დაბალი ტემპით გაიზარდება და 2024 წლისთვის 634.8 ათასს მიაღწევს.

ამჟამად, ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში 2,313 სკოლა საქმიანობს, აქედან 2,086 საჯარო და 227 კერძო დაწესებულება. აღსანიშნავია, რომ 149 სკოლა გამოაკლდა სკოლების საერთო რაოდენობას 2009-19 წლებში. აღნიშნული გამოიწვია საჯარო სკოლების ოპტიმიზაციამ (ძირითადად სოფლად) და კერძო სკოლებისთვის ავტორიზაციის მოთხოვნის შემოღებამ, რაც ზოგიერთი კერძო სკოლის დახურვის მიზეზი გახდა.

**გრაფიკი 9: 2014 წლიდან მოსწავლეების რაოდენობა იზრდება**


მოსწავლეების რაოდენობა, '000



წყარო: საქსტატი

**გრაფიკი 10: სკოლების რაოდენობა შემცირდა**

სკოლების რაოდენობა, 2019



წყარო: საქსტატი


თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში მოსწავლეთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ ოთხ ქალაქში სწავლობდა მოსწავლეთა 49.2% 2019 წელს, როცა 2009 წელს იგივე მაჩვენებელი 39.6% იყო. ურბანიზაციის



ტენდენციის გათვალისწინებით, მოსწავლეთა კონცენტრაცია დიდ ქალაქებში გაგრძელდება.

**გრაფიკი 11: მოსწავლეების 34.7% კონცენტრირებულია თბილისში**

სკოლებისა და მოსწავლეების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2019/20




წყარო: სასტატისტიკო, გალტ & თავარტი

შენიშვნა: 15 სკოლა და 2.3 ათასი მოსწავლეა დარეგისტრირებული აფხაზეთის რეგიონში, თუმცა სავარაუდოდ, ეს მონაცემები რეალურ სურათს არ ასახავს

**გრაფიკი 12: მოსწავლეების რაოდენობა რეგიონებში მცირდება**

მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება 2009-19




**კერძო სექტორი**


მსოფლიოში არ არსებობს მკაფიო ურთიერთკავშირი აკადემიურ შედეგებსა და განათლების მოდელს შორის, რაც გულისხმობს მოსწავლეების განაწილებას საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. შესაბამისად, ქვეყნები განათლების სისტემების სხვადასხვა მოდელს ირჩევენ. მიუხედავად ამისა, კერძო სექტორში ჩარიცხვების წილი ბოლო 7 წელიწადში 3.0 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი მსოფლიოში და 2018 წელს 21.5%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა უფრო თვალსაჩინოა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე რეგიონებში, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში.

**გრაფიკი 13: მოთხოვნა კერძო სკოლებზე გლობალურად მზარდია**

კერძო სკოლებში ჩარიცხვის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით, 2018



კერძო სკოლებში მოსწავლეების ზრდა 2013-18



წყარო: EuroStat, გალტ & თავარტი




საქართველოში საჯარო სექტორი კვლავ რჩება ზოგადი განათლების მთავარ მიმწოდებლად, თუმცა კერძო სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება (2.8% CAGR 62.8 ათასამდე 2009-19 წლებში). კერძო სკოლების პოპულარობის მთავარი მიზეზი მომხმარებლის აღქმით მათ მიერ შეთავაზებული განათლების უფრო მაღალი ხარისხია. საქართველოში მოსწავლეების 10.6% სწავლობს კერძო სკოლებში 2019/20 სასწავლო წლის მდგომარეობით, როცა იგივე მაჩვენებელი 2009/10 წელს იყო 7.6%. ზოგად განათლების სექტორში კერძო სექტორის წილით საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს შესადარის ქვეყნებს რეგიონში (2.5%).

კერძო განათლება საქართველოში ფართოდ ხელმისაწვდომი არ არის: კერძო სკოლაში ერთი ბავშვის სწავლება ოჯახის შემოსავლის საშუალოდ 25%-ს მოითხოვს. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და შინამეურნეობების შემოსავლების ზრდასთან ერთად კერძო სკოლები უფრო ხელმისაწვდომი გახდება ქართველი მოსახლეობისთვის.

ურბანიზაცია ხელს უწყობს კერძო სკოლებში ჩარიცხვის ზრდას, რადგან ქალაქებში მოსახლეობის შემოსავლები შედარებით მაღალია და გადახდისუნარიანი მოსახლეობაც უფრო მრავალრიცხოვანია. თბილისი, ბათუმი და ქუთაისი ყველაზე მიმზიდველი ბაზრებია კერძო სკოლებისთვის, შესაბამისად 18.6%, 19.8% და 11.9% კერძო ჩარიცხვების წილით, 2019 წლის მონაცემებით. ურბანიზაციის ზრდით მოსალოდნელია, რომ კერძო სკოლებზე მოთხოვნა გაიზრდება და 2024 წლისთვის მოსწავლეთა რაოდენობა 73.2 ათასს მიაღწევს (ჯამური რაოდენობის 11.5%).

**გრაფიკი 14: კერძო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი დაბალი ერთნიშნა წლიური ზრდის ტემპით მატულობს**


კერძო სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა, '000



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

**გრაფიკი 15: კერძო სკოლებში ჩარიცხვების წილი დიდ ქალაქებში მაღალია**

ჩარიცხვა მდებარეობის მიხედვით, 2019/20



წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო

**კონსოლიდაციის შესაძლებლობა**

ბოლო წლების ზრდის მიუხედავად, საქართველოში კერძო ზოგადი განათლება ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კერძო სკოლების უმეტესობა წარმოადგენს ოჯახურ ბიზნესს და/ან იმართება მასწავლებლების მიერ. კორპორატიზაციის ნაკლებობა ზღუდავს ფინანსურ რესურსებზე წვდომას, აფერხებს ზრდას და სექტორში M&A აქტივობას.

აღსანიშნავია, რომ კერძო სკოლის საშუალო ზომა 169-დან 277 მოსწავლემდე გაიზარდა 2009-19 წლებში, თუმცა კვლავ ჩამორჩება საჯარო სკოლების საშუალო ზომას საქართველოს დიდ ქალაქებში (იხ. გრაფიკი 16). მხოლოდ 8





კერძო სკოლას ჰყავს 1,000-ზე მეტი მოსწავლე და ეს 8 სკოლა ბაზრის მხოლოდ 15.2%-ს შეადგენს<sup>1</sup>. სკოლების 64.3%-ს 250-ზე ნაკლები მოსწავლე ჰყავს, რაც სექტორში კონსოლიდაციის შესაძლებლობაზე მიუთითებს. შესაბამისად, მოსალოდნელია M&A აქტივობის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს მასშტაბის ეკონომიის მიღწევას რეპუტაციის მოპოვების ხანგრძლივი პროცესის გამოტოვებით.

**ცხრილი 2: პატარა კერძო სკოლებში (500 მოსწავლეზე ნაკლები) სწავლობს მოსწავლეების 59.1%**

კერძო სკოლების განაწილება მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, 2019/20

| # მოსწავლეების დიაპაზონი | სკოლების რაოდენობა | # მოსწავლეები '000 | სკოლები %   | მოსწავლეები % |
|--------------------------|--------------------|--------------------|-------------|---------------|
| <250                     | 146                | 20.2               | 64.3%       | 32.2%         |
| 250-500                  | 50                 | 16.8               | 22.0%       | 26.9%         |
| 500-750                  | 13                 | 7.6                | 5.7%        | 12.1%         |
| 750-1,000                | 10                 | 8.5                | 4.4%        | 13.6%         |
| >1,000                   | 8                  | 9.5                | 3.5%        | 15.2%         |
| <b>Total</b>             | <b>227</b>         | <b>62.5</b>        | <b>100%</b> | <b>100%</b>   |

წყარო: განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: მოსწავლეთა რაოდენობა მცირედით განსხვავდება საქსტატისა და განათლების სამინისტროს მონაცემებში, სტატისტიკის თარიღიდან გამომდინარე


საქართველოს კაპიტალი პირველი საინვესტიციო ჰოლდინგური კომპანიაა ქვეყანაში, რომელიც კერძო სასკოლო განათლების სექტორით დაინტერესდა. კომპანიამ უკვე შეიძინა 3 კერძო სკოლა 2019 წელს (49 მლნ ლარი ინვესტიციის), კერძოდ ბრიტანულ-ქართული აკადემია, ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა და თბილისის მწვანე სკოლა, სულ 2,100 მოსწავლით (2019/20). კომპანია გეგმავს განათლების სექტორში 186 მლნ ლარის ინვესტიციას და მოსწავლეთა რაოდენობის 30,000-მდე ზრდას 2025 წლისთვის.

**ცხრილი 3: საქართველოს კაპიტალმა 3 სკოლა შეიძინა 2019 წელს და გეგმავს 186 მლნ ლარის ინვესტირებას 2025 წლამდე M&A გარიგებებში საქართველოს ზოგადი განათლების სექტორში**

| თარიღი | შემსყიდველი | სკოლა                        | EV / EBITDA | შესყიდული წილი | მოსწავლეების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა | მოსწავლეების მიზნობრივი რაოდენობა |
|--------|-------------|------------------------------|-------------|----------------|--|-----------------------------------|
| ივლ-19 | GCAP        | ბრიტანულ-ქართული აკადემია    | 6.4x        | 70%            | 800  | 3,200                             |
| ივლ-19 | GCAP        | ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა | 6.4x        | 80%            | 760  | 2,980                             |
| აგვ-19 | GCAP        | თბილისის მწვანე სკოლა        | 5.6x        | 80%*           | 1,250                                      | 5,000                             |

წყარო: კომპანიის რეპორტი  
\*შენიშვნა: 80% წილი არსებულ კამპუსში და 90% სამ ახალ სკოლაში რომლებიც გაიხსნება მწვანე სკოლის სახელის ქვეშ

**გრაფიკი 16: დიდ ქალაქებში კერძო სკოლების ზომა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საჯაროს სკოლებში მოსწავლეების საშუალო რიცხვი, 2019/20**



წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

<sup>1</sup> ბაზრის წილი მოსწავლეების რაოდენობით კერძო სექტორში



**ცხრილი 4: კონსოლიდაციის შესაძლებლობა არსებობს ყველა საფასო სეგმენტში**

შერჩეული კერძო სკოლები, ბაზრის წილი, 2019/20

| სკოლის დასახელება                              | მოსწავლეების რაოდენობა, '000 | ბაზრის წილი ჩარიცხვებით* | ბაზრის წილი შემოსავლით* | ქალაქი  | საფასო სეგმენტი |
|--|------------------------------|--------------------------|-------------------------|---------|-----------------|
| მწიგნობართუხუცესი                              | 1.4                          | 2.3%                     | 2.1%                    | თბილისი | საშუალო         |
| აიბი - მთიები                                  | 1.3                          | 2.1%                     | 2.0%                    | თბილისი | საშუალო         |
| ნიუტონის თავისუფალი სკოლა                      | 1.3                          | 2.0%                     | 3.1%                    | თბილისი | პრემიუმი        |
| რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი  | 1.2                          | 2.0%                     | 1.9%                    | ბათუმი  | საშუალო         |
| ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. სკოლა  | 1.2                          | 1.9%                     | 0.8%                    | ბათუმი  | ხელმისაწვდომი   |
| ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა                | 1.0                          | 1.7%                     | 2.1%                    | თბილისი | პრემიუმი        |
| თბილისის მწვანე სკოლა                          | 1.0                          | 1.6%                     | 1.4%                    | თბილისი | პრემიუმი        |
| სკოლა ევრო-2000                                | 1.0                          | 1.6%                     | 1.0%                    | ბათუმი  | ხელმისაწვდომი   |
| წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა     | 0.9                          | 1.5%                     | 1.5%                    | თბილისი | პრემიუმი        |
| იუჯი სკოლა                                     | 0.9                          | 1.4%                     | 1.2%                    | თბილისი | პრემიუმი        |
| ევროპული სკოლა                                 | 0.9                          | 1.4%                     | 5.9%                    | თბილისი | პრემიუმი        |
| პრომეთე  | 0.9                          | 1.4%                     | ...                     | თბილისი | საშუალო         |
| ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესი                | 0.8                          | 1.3%                     | ...                     | ქუთაისი | პრემიუმი        |
| სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი                      | 0.8                          | 1.3%                     | ...                     | ბათუმი  | საშუალო         |
| ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა იმედი | 0.8                          | 1.3%                     | ...                     | ქუთაისი | ხელმისაწვდომი   |
| დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შვენაბადა         | 0.8                          | 1.3%                     | ...                     | თბილისი | საშუალო         |
| მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა               | 0.8                          | 1.2%                     | 0.6%                    | ქუთაისი | ხელმისაწვდომი   |
| ახალი სკოლა                                    | 0.7                          | 1.2%                     | 4.4%                    | თბილისი | პრემიუმი        |
| არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონი              | 0.7                          | 1.0%                     | 1.3%                    | თბილისი | ხელმისაწვდომი   |
| ბაქსუდის საერთაშორისო სკოლა                    | 0.6                          | 1.0%                     | 2.2%                    | თბილისი | პრემიუმი        |

წყარო: განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ხელმისაწვდომია სკოლები, რომელთა საშუალო წლიური გადასახადი 3,000 ლარამდეა, საშუალო- 3,000-5,000 ლარი, პრემიუმი - 5,000 ლარზე მეტი

\*ბაზრის წილები კერძო სექტორში, შემოსავლები მოცემულია 2018 წლის მონაცემებით

**ზოგადი განათლების ხარისხი საქართველოში**

საქართველოს საკუთარი განათლების ხარისხის შეფასების სისტემა არ აქვს. შესაბამისად, საერთაშორისო კვლევები ერთდერთი საიმედო წყაროა ზოგადი განათლების ხარისხის შესაფასებლად (როგორცია, მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამა (PISA), წიგნიერების (PIRLS), მათემატიკისა და მეცნიერების საერთაშორისო კვლევები (TIMSS)). PISA 2018-ის თანახმად:

- ქართველი მოსწავლეები აკადემიური შედეგებით ჩამორჩებიან რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანას სამივე საგანში. ამ შედეგებით, საქართველო 78 ქვეყნიდან იკავებს 67-ე ადგილს მათემატიკაში, 71-ეს წაკითხულის გააზრებაში და 74-ეს საბუნებისმეტყველო საგნებში.
- საქართველოში მაღალია იმ მოსწავლეების წილი, ვინც საბაზო მიღწევის დონე ვერ გადალახა (48.7% საქართველოში, 13.4% - OECD).
- საქართველოს შედეგები გაუარესდა<sup>2</sup> 2015-18 წლებში.

საქართველოს რეიტინგი წიგნიერების კვლევაში (PISA 2018)  
ადგილი 78 ქვეყანაში




<sup>2</sup> ეს გაუარესება ნაწილობრივ იხსნება 2018 წელს ტესტირების ფორმატის შეცვლით და მონაწილეების გაზრდილი რაოდენობით. ფურცლიდან კომპიუტერით ტესტირებაზე გადასვლისას მოსწავლეთა შედეგები პირველ წელს ძირითადად ყველა ქვეყანაში უარესდება.



- კერძო სკოლებში მოსწავლეებს საშუალოდ უკეთესი შედეგები აქვთ საჯარო სკოლებთან შედარებით და ეს სხვაობა საქართველოში უფრო დიდია ვიდრე OECD-ის ქვეყნებში.
- მოსწავლეთა შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება საცხოვრებელი ადგილისა (ქალაქი და სოფელი) და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რაც მიუთითებს განათლების რესურსების არათანაბარ ხელმისაწვდომობაზე.

**გრაფიკი 17: საერთაშორისო კვლევებში კერძო სკოლის მოსწავლეები უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე საჯარო სკოლის მოსწავლეები**

მოსწავლეების შედეგები PISA (2018)-ში სკოლის ტიპის მიხედვით



წყარო: NAEC, OECD

**”ახალი სკოლის“ მოდელი**

”ახალი სკოლის“ მოდელი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა განათლების სექტორში, რომელიც დაფუძნებულია ევროპის ქვეყნების წარმატებულ პრაქტიკებზე. რეფორმა მიზნად ისახავს ცენტრალიზებულიდან დეცენტრალიზებულ და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მიდგომებზე გადასვლას. ეს ნიშნავს, რომ სკოლებსა და მასწავლებლებს ექნებათ უფრო ფართო ავტონომია სასწავლო მასალისა და მისი განხორციელების პრაქტიკის ფორმირებაში. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა კონკრეტული საგაკვეთილო რეკომენდაციების ნაცვლად, მასწავლებლებს მიაწვდის გრძელვადიან მიზნებს, რათა განავითარონ მოსწავლეთა ანალიტიკური უნარები. სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება ციფრული ტექნოლოგიები, რაც არამარტო გაზრდის სწავლებისა და ადმინისტრაციული პროცედურების ეფექტურობას, არამედ გააუმჯობესებს მოსწავლეთა ჩართულობას და უზრუნველყოფს მათი ICT უნარ-ჩვევების განვითარებას. ”ახალი სკოლის“ მოდელი უკვე განხორციელდა 165 სკოლის დაწყებით კლასებში (I-IV კლასები) 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით და ყველა საჯარო სკოლაში დაინერგება 2024 წლისთვის. ახალი მიდგომა, ვფიქრობთ, გააუმჯობესებს სწავლის შედეგებს გრძელვადიან პერიოდში.

**მასწავლებლების ოპტიმიზაცია**

საქართველოში მასწავლებლების სიჭარბეა, მიუხედავად იმისა, რომ მათი რიცხვი შემცირდა 63.8 ათასამდე (-20% 2009-2019 წლებში). საქართველოში ერთ მასწავლებელზე მოდის 9 მოსწავლე, ეს მაჩვენებელი ევროკავშირში 12-ია და შესადარის ქვეყნებში<sup>3</sup> 15. პედაგოგების სიჭარბის ერთ-ერთი მიზეზი არის პატარა სკოლების სიჭარბე რეგიონებში. თუმცა, ჩვენ ასევე ვხედავთ ეფექტურობის გაუმჯობესების საჭიროებას, რადგან საქართველოში

<sup>3</sup> ევროპა და ცენტრალური აზია მაღალშემოსავლიანი ქვეყნების გარდა, 2016




მასწავლებლები საშუალოდ უფრო ნაკლები საათი მუშაობენ (კვირაში 25.3 საათი), ვიდრე სხვა ქვეყნებში (38.8 - OECD)<sup>4</sup>.

პედაგოგების სიჭარბის მიუხედავად, დეფიციტი შესამჩნევია კონკრეტულ საგნებში (მაგ. მეცნიერება, მათემატიკა) და გეოგრაფიულ არეალებში (სოფლად, მთიან ადგილებში). გარდა ამისა, ხარისხი რჩება მთავარ პრობლემად, რადგან როგორც კერძო, ასევე საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებს უჭირთ კვალიფიციური პერსონალის დაქირავება.

**გრაფიკი 18: მოსწავლე-მასწავლებლის ფარდობა საქართველოში ჩამორჩება რეგიონის ქვეყნებს**

მოსწავლეები რაოდენობა ერთ მასწავლებელზე, უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები



წყარო: მსოფლიო ბანკი

მასწავლებელთა სიჭარბიდან გამომდინარე იგი ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებადი პროფესიაა საქართველოში და შესაბამისად არ არის მიმზიდველი კარიერული გზა. ეს ქმნის მუშახელის დეფიციტის საფრთხეს გრძელვადიან პერიოდში. 2020 წლის პირველ კვარტალში განათლების სექტორში საშუალო ხელფასმა 726 ლარი შეადგინა, რაც 40%-ით ნაკლებია ქვეყნის საშუალო ხელფასზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოში საშუალო ხელფასების ზრდის პარალელურად განათლების სექტორშიც 45%-ით გაიზარდა ანაზღაურება 2014-19 წლებში. ამასთან, კერძო დაწესებულებები საჯარო სექტორთან შედარებით 20-30%-ით მაღალ ხელფასებს იხდიან, თუმცა მაინც დაბალია სხვა პროფესიებთან შედარებით. ხელფასები ასევე განსხვავდება საგანმანათლებლო დონეების მიხედვით, ყველაზე დაბალი ანაზღაურება სკოლამდელ, ხოლო ყველაზე მაღალი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშია.

**გრაფიკი 19: ხელფასები განათლების სექტორში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო ანაზღაურებას**

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი, ლარი

კერძო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი დაწესებულების ტიპის მიხედვით, ლარი, 2018



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი


შენიშვნა: ხელფასები მოიცავს ადმინისტრაციულ პერსონალსაც, თუმცა კარგი ინდიკატორია შედარებისთვის

<sup>4</sup> TALIS 2018





**გრაფიკი 20: საერთაშორისო მონაცემებით საქართველოს განათლების სექტორში ხელფასები მნიშვნელოვნად დაბალია**  
სხვაობა განათლების სექტორსა და ქვეყნის საშუალო ხელფასს შორის




წყარო: Eurostat, საქსტატი, გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: მონაცემები 2018 წლის მდგომარეობით საქართველოში და 2014 სხვა ქვეყნებში

დაბალი ხელფასები მასწავლებლის პროფესიას არამიმზიდველს ხდის ახალგაზრდებისთვის. შედეგად, 50 წელზე მეტი ასაკის მასწავლებლების წილი საქართველოში გაიზარდა 11.5 პროცენტული პუნქტით და ჯამური რაოდენობის 48.5%-ს მიაღწია 2011-18 წლებში, რაც რეგიონის მაღალშემოსავლიან და განვითარებად ქვეყნებთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია.


**გრაფიკი 21: საქართველოს განათლების სისტემაში ასაკოვანი მასწავლებლები ჭარბობენ**

სკოლის მასწავლებლების განაწილება ასაკის მიხედვით, 2016



წყარო: OECD, EMIS, გალტ & თაგარტი

მასწავლებლების განაწილება საქართველოში



წყარო: EMIS

მასწავლებელთა ასაკის გაახალგაზრდაების მიზნით, მთავრობამ პედაგოგთა საპენსიო სქემა დანერგა. პროგრამის მიხედვით პენსიაზე გასული მასწავლებელი მიიღებს 2 წლის ხელფასს. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, 6,500-მა პედაგოგმა დატოვა სამსახური პროგრამის ფარგლებში. გარდა ამისა, 2019 წელს 1,900 ახალგაზრდა პრაქტიკოსი შეუერთდა განათლების სისტემას, რამაც დადებითად იმოქმედა ასაკობრივ სტრუქტურაზე (იხ. გრაფიკი 21). გარდა ამისა:

- (i) საქართველოს მთავრობა გეგმავს ეტაპობრივად გაზარდოს მასწავლებელთა ანაზღაურება 1,800 ლარამდე 2023 წლისთვის, ეფექტურობის ზრდისა (სამუშაო საათები/საგნები ერთ მასწავლებელზე) და პროფესიული განვითარების საფუძველზე;



- (ii) ინერგება მასწავლებელთა განვითარების ახალი სქემა, რომელიც ახალგაზრდა პრაქტიკოსებს შეუქმნის სისტემაში სწრაფად შესვლისა და დაწინაურების შესაძლებლობებს.

## ჩრდილოვანი განათლება - კერძო რეპეტიტორობა

საქართველოში კერძო რეპეტიტორობის პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია. ეს ერთი მხრივ ეხმარება მასწავლებელს მიიღოს დამატებითი შემოსავალი და დააკომპენსიროს დაბალი ხელფასი და მეორე მხრივ ეხმარება მოსწავლეს გააუმჯობესოს აკადემიური შედეგები. შედეგად, განათლებაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 17.8%-ს შეადგენს, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სასტუმროებისა და რესტორნების შემდეგ. ამასთან, მოსალოდნელია, რომ მასწავლებლების დაგეგმილი ხელფასის ზრდა შეამცირებს კერძო რეპეტიტორობის მოტივაციას და გაზრდის მასწავლებელთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, ოფიციალური მოსამზადებელი ცენტრების შექმნა და კერძო სკოლებში ჩარიცხვების ზრდა ხელს შეუწყობს კერძო რეპეტიტორებზე მოთხოვნის კლებას. შესაბამისად, მოსალოდნელია ჩრდილოვანი განათლების წილის შემცირება ეკონომიკაში.

პროფესიული  
განათლება



**პროფესიული განათლება** საქართველოში არაპრესტიჟულია. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით პროფესიულ პროგრამებზე 15.6 ათასი სტუდენტი სწავლობდა, რაც შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 6%-ია. ზრდის მიუხედავად, პროფესიულ განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები კვლავ მცირეა და მთლიანი განათლების ხარჯების მხოლოდ 3.2%-ს შეადგენდა 2019 წელს. ამასთან, პროფესიული კოლეჯების ხელმისაწვდომობას ზღუდავს ის ფაქტი, რომ მათი უმეტესი ნაწილი თბილისშია კონცენტრირებული. დაგეგმილი რეფორმებისა და სახელმწიფო ხარჯების ზრდის გათვალისწინებით, მოსალოდნელია პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტების ზრდა.

- საქართველოში პროფესიულ პროგრამებზე ახალგაზრდების 6% და მოსწავლეების მხოლოდ 3% სწავლობს, ევროკავშირში ეს მაჩვენებელი მოსაწავლეების 48%-ია
- კერძო პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტების 35.4% სწავლობს
- სახელმწიფო ხარჯები პროფესიულ განათლებაზე 2020 წელს 54.3 მლნ ლარს შეადგენს, რაც განათლების დაფინანსების მხოლოდ 3.6%-ია

საქართველოში პროფესიულ პროგრამებს შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 6% ესწრება, ხოლო 60%-ზე მეტი იღებს უმაღლეს განათლებას. 2013-19 წლებში პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტების მიღება 21.0-დან 11.5 ათასამდე შემცირდა, რაც საქართველოს შრომის ბაზარზე პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დეფიციტის მიზეზია (იხ. გვ. 47). ამ დანაკლისს კერძო და საჯარო სექტორი საკუთარი სასწავლო პროგრამებით და უცხოელი პროფესიონალების მოზიდვით ნაწილობრივ აკომპენსირებს. გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი კვლევა არ მოიცავს არაფორმალურ პროფესიულ განათლებას, რაც ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა საქართველოში.

## ჩარიცხვის ტენდენციები




პროფესიულ პროგრამებს 62 კერძო და 43 საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს სტუდენტებს 2019/20 აკადემიური წლის მდგომარეობით. ამასთან, პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯები პროფესიული განათლების ძირითადი მიმწოდებლები არიან, სადაც ჯამურად სტუდენტების 80.2% სწავლობს. დანარჩენი ძირითადად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ პროგრამებზე სწავლობენ (18.3%), ხოლო სკოლების წილი უმნიშვნელოა.

### გრაფიკი 22: პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვები კლებულობს

სტუდენტების მიღება პროფესიულ პროგრამებზე, '000

პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტების განაწილება დაწესებულების მიხედვით, 2019

პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტების განაწილება დაწესებულების ტიპის მიხედვით, 2019



წყარო: საქსტატი, განათლების სამინისტრო, გალტ & თავარტი

შენიშვნა: სტუდენტების მიღება გულისხმობს წლის განმავლობაში პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობას, ხოლო სტუდენტების რაოდენობა კონკრეტულ მომენტში დარეგისტრირებული სტუდენტების რიცხვს.




სტუდენტების უმეტესობა საჯარო პროფესიულ დაწესებულებებში სწავლობს (64.6% წილით 2019 წელს), სადაც სახელმწიფო დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია. მთავრობის ბოლოდროინდელი განცხადებების თანახმად, კერძო პროფესიულ დაწესებულებებს ასევე შეეძლება მიიღონ ვაუჩერული დაფინანსება სახელმწიფოსგან, რაც გაზრდის ხელმისაწვდომობას და შესაბამისად, მოთხოვნას კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.


პროფესიული განათლებაზე მოთხოვნა განსაკუთრებით დაბალია სკოლის მოსწავლეებში. სკოლის მოსწავლეები 2019 წელს პროფესიული განათლების სტუდენტების მხოლოდ 21%-ს შეადგენენ, როცა უფროსი ასაკობრივი ჯგუფების წილი შედარებით დიდია (79%).

**გრაფიკი 23: პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა უფროსი ასაკობრივი ჯგუფებისგან უფრო დიდია ვიდრე ახალგაზრდებისგან**

სტუდენტების განაწილება ასაკის მიხედვით, 2019



სტუდენტების მიღება საფეხურების მიხედვით, 2019



წყარო: განათლების სამინისტრო


პროფესიული განათლების პოპულარობის გასაზრდელად, პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულზე ზოგადი განათლების ატესტატი გაიცემა 2016 წლიდან. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში სწავლა გააგრძელონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მოლოდინის საპირისპიროდ, ამ ცვლილებამ პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა არ გაზარდა. ამასთან, საშუალო ზოგადი საგანმანათლებლო საფეხურის მოსწავლეების (10-12 კლასები) მხოლოდ 3% სწავლობს საქართველოში პროფესიულ პროგრამებზე, როცა ევროკავშირში მათი წილი 48%-ს შეადგენს. მთავრობა გეგმავს პროფესიული პროგრამების პოპულარიზაციას და ამ პროფესიებზე შრომის ბაზრიდან მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით მოსალოდნელია ამ ტიპის პროგრამებში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა.





**გრაფიკი 24: ევროკავშირში მოსწავლეების თითქმის ნახევარი სწავლობს პროფესიულ პროგრამებზე, ხოლო საქართველოში მხოლოდ 3%**

საშუალო ზოგადი განათლების საფეხურის მოსწავლეების წილი პროფესიულ პროგრამებზე



წყარო: Eurostat, საქსტატი, გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: საქართველოს მონაცემები მოცემულია 2019 წლის, ხოლო სხვა ქვეყნები 2017 წლის მდგომარეობით

პროფესიული განათლების სექტორი ბევრ წვრილ მოთამაშეს აერთიანებს. კერძოდ, დაწესებულებების 81.9%-ს 300-ზე ნაკლები სტუდენტი ჰყავს 2019 წლის მდგომარეობით. 5 კოლეჯშია 500-ზე მეტი და მხოლოდ ერთში (კოლეჯი „ახალი ტალღა“ ქობულეთში) - 1,000-ზე მეტი სტუდენტი, 2019/20 სასწავლო წელს.

**ცხრილი 5: პროფესიულ პროგრამებზე მხოლოდ 6 დაწესებულებაშია 500-ზე მეტი სტუდენტი**

დაწესებულებების განაწილება პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით, დეკემბერი 2019

| სტუდენტების დიაპაზონი | დაწესებულებების რაოდენობა | სტუდენტების რაოდენობა, '000 | სტუდენტები % | დაწესებულებები % |
|-----------------------|---------------------------|-----------------------------|--------------|------------------|
| <=100                 | 61                        | 1.7                         | 58.1%        | 11.1%            |
| 101-300               | 25                        | 4.7                         | 23.8%        | 30.2%            |
| 301-500               | 13                        | 4.8                         | 12.4%        | 30.9%            |
| 501-1,000             | 5                         | 3.0                         | 4.8%         | 19.1%            |
| >1,000                | 1                         | 1.4                         | 1.0%         | 8.7%             |
| <b>სულ</b>            | <b>105</b>                | <b>15.6</b>                 | <b>100%</b>  | <b>100%</b>      |

წყარო: განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

**ცხრილი 6: საჯარო კოლეჯები ყველაზე მეტ სტუდენტს იზიდავს**

ტოპ დაწესებულებები პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით, დეკემბერი 2019

| დაწესებულება   | ტიპი   | ქალაქი   | # სტუდენტები, '000 | წილი მთლიან რაოდენობაში |
|--|--------|----------|--------------------|-------------------------|
| კოლეჯი ახალი ტალღა                                     | საჯარო | ქობულეთი | 1.4                | 8.7%                    |
| კოლეჯი აისი  | საჯარო | გურჯაანი | 0.7                | 4.5%                    |
| კოლეჯი მერმისი   | საჯარო | თბილისი  | 0.7                | 4.3%                    |
| საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა                          | კერძო  | თბილისი  | 0.6                | 3.6%                    |
| საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონი                       | კერძო  | თბილისი  | 0.5                | 3.5%                    |
| კოლეჯი სპექტრი   | საჯარო | თბილისი  | 0.5                | 3.3%                    |
| შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | საჯარო | ზუგდიდი  | 0.5                | 3.1%                    |
| კოლეჯი ოპიზარი   | საჯარო | ახალციხე | 0.4                | 2.6%                    |
| კოლეჯი ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია             | საჯარო | თბილისი  | 0.4                | 2.6%                    |
| ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია                    | საჯარო | ბათუმი   | 0.4                | 2.5%                    |

წყარო: განათლების სამინისტრო




## არასაკმარისი დაფინანსება

2013 წელს დაფინანსების ახალი მოდელის დანერგვის შედეგად (იხ. დანართი 5) პროფესიული განათლების სახელმწიფო დაფინანსება 5-ჯერ გაიზარდა. ამ დაფინანსებამ 2019 წელს 48.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც კვლავ დაბალია და მთლიანი საგანმანათლებლო ხარჯების 3.2%-ს შეადგენს. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, პროფესიული განათლებაზე დაიხარჯება 54.3 მლნ ლარი, მთლიანი ხარჯების 3.6%.

### გრაფიკი 25: ზრდის მიუხედავად სახელმწიფო ხარჯები პროფესიულ განათლებაზე მცირეა

სახელმწიფო დანახარჯები პროფესიულ განათლებაზე



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

შენიშვნა: სახელმწიფო დანახარჯები არ მოიცავს სკოლამდელ განათლებას, რაც დაფინანსებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ

## შეზღუდული გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა

პროფესიული განათლების დაწესებულებები ძირითადად დედაქალაქშია თავმოყრილი და სხვა რეგიონებში (გარდა აჭარისა) ასეთი დაწესებულებების რაოდენობა ცოტაა. შესაბამისად, რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისა და ზრდასრული მოსახლეობისთვის პროფესიული განათლების მიღება დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, საქართველოს მთავრობამ დააანონსა რამდენიმე პროფესიული კოლეჯის გახსნა, მათ შორის წყალტუბოს, კასპისა და ხაშურის რეგიონებში.

### ცხრილი 7: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები თბილისშია კონცენტრირებული

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2019/20

| რეგიონი                | # კერძო დაწესებულებები | # სახელმწიფო დაწესებულებები | # სტუდენტების მიღება, '000 | დაწესებულებები % | სტუდენტები % |
|------------------------|------------------------|-----------------------------|----------------------------|------------------|--------------|
| თბილისი                | 35                     | 13                          | 5.4                        | 45.7%            | 46.6%        |
| აჭარა                  | 9                      | 6                           | 2.8                        | 14.3%            | 24.5%        |
| იმერეთი                | 6                      | 6                           | 0.8                        | 11.4%            | 7.0%         |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 2                      | 4                           | 0.8                        | 5.7%             | 6.8%         |
| კახეთი                 | 3                      | 3                           | 0.5                        | 5.7%             | 4.4%         |
| შიდა ქართლი            | 2                      | 4                           | 0.3                        | 5.7%             | 2.7%         |
| სამცხე-ჯავახეთი        | 2                      | 2                           | 0.4                        | 3.8%             | 3.1%         |
| ქვემო ქართლი           | 3                      | 1                           | 0.2                        | 3.8%             | 1.6%         |
| სხვა                   | -                      | 4                           | 0.4                        | 3.8%             | 3.3%         |
| <b>სულ</b>             | <b>62</b>              | <b>43</b>                   | <b>11.5</b>                | <b>100%</b>      | <b>100%</b>  |

წყარო: საქსტატი

უმადლოესი განათლება



კერძო უმაღლესი განათლების სექტორის ფინანსური მაჩვენებლები ჯანსაღია. ჩვენი მოლოდინები სექტორის მიმართ ოპტიმისტურია, რაც გამყარებულია შემდეგი ფაქტორებით: (i) შინამეურნეობების შემოსავლების ზრდა, (ii) გაზრდილი მოთხოვნა უფროსი ასაკობრივი ჯგუფებისა და უცხოელი სტუდენტებისგან, (iii) შედარებით დაბალი პენეტრაციის დონე. ჩვენი აზრით მსხვილი მოთამაშეების დომინანტობა ბაზარზე გაიზრდება, მათი უკეთესი საოპერაციო მდგომარეობისა და მასშტაბის ეკონომიის ხარჯზე. ჩვენ ველოდებით კონსოლიდაციის პროცესის გააქტიურებას, რადგან სექტორი კვლავ ფრაგმენტულია. ამასთან, აბიტურიენტების სტაბილური რიცხვი და დაბალი ხელმისაწვდომობა ავერხებს სექტორის ზრდას. სწავლის საფასური მძიმე ტვირთია სტუდენტებისთვის, რადგან ისინი ფინანსურად ძირითადად ოჯახებზე არიან დამოკიდებულნი, ხოლო სახელმწიფო დაფინანსება და საკუთარი შემოსავალი მცირეა.


- უმაღლეს განათლებაზე ჩარიცხვის მაჩვენებელმა 60%-ს გადააჭარბა 2018 წელს
- ჩვენი შეფასებით, სტუდენტების რიცხვი 2024 წლისთვის 160.3 ათასს მიაღწევს, ამჟამინდელი 152.8 ათასიდან
- კერძო ჩარიცხვების წილი 35.4%-ია და ჩვენი შეფასებით 37.4%-მდე გაიზრდება 2024 წლისთვის
- უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსება დაბალია საქართველოში
- კერძო სექტორის წმინდა მოგების მარჟამ 25% შეადგინა 2017-18 წლებში

## ბაზრის ზომა

უმაღლესი განათლების სექტორის შემოსავალი 251 მლნ ლარიდან 691 მლნ ლარამდე გაიზარდა 2009-19 წლებში. სწავლის საფასური შემოსავლის ძირითადი წყაროა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინსტიტუტებისთვის. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლება საქართველოში, ძირითადად, დაფინანსებულია ჯიბიდან გადახდებით (77% წილი 2019 წელს, ჩვენი შეფასებით), ხოლო მთავრობის დაფინანსება მცირეა (23%), რასაც საერთაშორისო შედარებაც ადასტურებს. (იხ. გრაფიკი 27).

### გრაფიკი 26: კერძო სექტორის შემოსავალი სწრაფად იზრდება


უმაღლესი განათლების სექტორის შემოსავლები, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო, გალტ & თაგარტი

### გრაფიკი 27: სახელმწიფო დაფინანსება კვლავ დაბალია

სახელმწიფო დანახარჯი ერთ სტუდენტზე შეფარდებული ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სთან, უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები



წყარო: მსოფლიო ბანკი

კერძო სექტორის ზრდის ტემპმა ბოლო ათწლეულში გადააჭარბა საჯარო სექტორს და მისი წილი ჯამურ შემოსავლებში 10.3 პროცენტული პუნქტით 33.2%-მდე გაიზარდა 2009-19 პერიოდში. კერძო სექტორის შემოსავლების ზრდა ერთი მხრივ გამოიწვია სტუდენტების გაზრდილმა რაოდენობამ (დაახლოებით 2-ჯერ 2009-19 წლებში). მეორე მხრივ, გაიზარდა მოთხოვნა მაგისტრატურის საფეხურზე და იმატა საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობამ, რამაც გაზარდა შემოსავალი ერთ სტუდენტზე.

კერძო უმაღლესი განათლება მომგებიანი სექტორია, რომლის წმინდა მოგებაც 11.5 მლნ ლარიდან 42.8 მლნ ლარამდე გაიზარდა 2009-19 წლებში.




გაზრდილი შემოსავლებისა და გაუმჯობესებული ეფექტურობის შედეგად სექტორის წმინდა მოგების მარჟამ 2017-18 წლებში 25%-ს მიაღწია.

განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს უნივერსიტეტებს არ აქვთ კვლევასთან დაკავშირებული შემოსავლები, რაც შეიძლება იყოს სექტორის ზრდის შესაძლებლობა. კვლევისა და განვითარების ხარჯები ერთ-ერთი ყველაზე დაბალია საქართველოში (მშპ-ს 0.3%, 2017 წლის მდგომარეობით, როცა ევროკავშირში იგივე მაჩვენებელი 2.1%-ია). შესაბამისად ამ სფეროს განვითარება დადებითად აისახება როგორც უნივერსიტეტების ხარისხსა და ფინანსურ მდგომარეობაზე, ისე ბიზნეს სექტორზე და ზოგადად ეკონომიკაზე.

### გრაფიკი 28: კერძო უმაღლესი განათლების სექტორის ფინანსური მდგომარეობა ჯანსაღია

კერძო უმაღლესი განათლების სექტორის შემოსავლები




წყარო: საქსტატი

შენიშვნა: სექტორის მოგება არის მომგებიანი კომპანიების მოგებების ჯამი, ხოლო ზარალი - წამგებიანი კომპანიების ზარალის ჯამი. სექტორის წმინდა მოგების მარჟა = (მოგება - ზარალი) / სექტორის მთლიანი შემოსავალი

### გრაფიკი 29: ...სტაბილურად მზარდი მომგებიანობით

კერძო უმაღლესი განათლების სექტორის მოგება-ზარალი, მლნ ლარი



## ჩარიცხვის ტენდენციები

11-დან 12-კლასიან ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაზე გადასვლამ 2008 წელს და კერძო ინსტიტუტებისთვის ავტორიზაციის/აკრედიტაციის მოთხოვნების შემოღებამ 2010 წელს (იხ. დანართი 2) გამოიწვია ჩარიცხვების არასტაბილურობა და 100-ზე მეტი კერძო დაწესებულების დახურვა 2007-12 წლებში. ამის შემდეგ, 2012-19 წლებში, სტუდენტების რაოდენობა სტაბილურად, 4.5% CAGR-ით იზრდებოდა და 152.8 ათასს მიაღწია.

უმაღლესი განათლების მიღება საქართველოში სოციალური ნორმაა, მიუხედავად იმისა, რომ უმნიშვნელოდ ზრდის დასაქმების შანსს (იხ. გვ. 50-51). მზარდი მოთხოვნისა და გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობის შედეგად უმაღლესი განათლებაში დასწრების მაჩვენებელი 34.2%-დან 60.3%-მდე გაიზარდა 2008-18 წლების განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ქართველი სტუდენტების უმეტესობა აკადემიურ პროგრამებზე სწავლობენ, ხოლო უმაღლესი განათლების პროფესიული პროგრამები იზიდავენ სტუდენტების მხოლოდ 2.0%-ს. ამის საპირისპიროდ, სტუდენტების 36.4% აშშ-ში, 35.5% თურქეთში და 23.6% რუსეთში სწავლობს მოკლე ციკლის პროფესიულ პროგრამებზე (2017).

ჩვენი მოლოდინით სტუდენტთა რიცხვი ნელი ტემპით განაგრძობს ზრდას და 152.8 ათასიდან 160.3 ათასამდე გაიზრდება 2019-24 პერიოდში, რასაც ხელს შეუწყობს გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა, უფროსი ასაკის

### სტუდენტების განაწილება საფეხურების მიხედვით, 2019/20








ჯგუფებისგან მოთხოვნის ზრდა და უცხოელი სტუდენტების მზარდი რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ სკოლის კურსდამთავრებულთა სტაბილური რაოდენობა და ცუდი აკადემიური შედეგები ზღუდავს უმაღლესი განათლების ჩარიცხვებს.


კერძო სექტორში სტუდენტების რაოდენობა 29.2 ათასიდან 54.0 ათასამდე (ჯამური რაოდენობის 27.6%-დან 35.4%-მდე) გაიზარდა 2009-19 წლებში. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კერძო ჩარიცხვების წილი აჭარბებს რეგიონის ქვეყნების, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ბევრი განვითარებული ქვეყნის მაჩვენებელს. კერძო სექტორის უკვე მაღალი წილის გათვალისწინებით, ველოდებით კერძო ჩარიცხვების ზრდის შენელებას და 2024 წლამდე მხოლოდ +2.0 პროცენტული პუნქტით 37.4%-მდე მატებას.

**გრაფიკი 30: სტუდენტების რაოდენობის ზრდა შენედა**



წყარო: საესტატიკო  
შენიშვნა: 2010/11 წლის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი


**გრაფიკი 31: კერძო სექტორის მოთამაშეებზე გავლენას ახდენს რეგულაციები და კონკურენცია**



წყარო: საესტატიკო  
შენიშვნა: 2010/11 წლის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი

**გრაფიკი 32: სტუდენტები საქართველოში ძირითადად აკადემიურ პროგრამებზე სწავლობენ**


სტუდენტების განაწილება საფეხურის მიხედვით, უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები



წყარო: UNESCO

**გრაფიკი 33: კერძო ჩარიცხვების წილი საქართველოს უმაღლესი განათლების სექტორში მაღალია**

უმაღლესი სასწავლებლებში კერძო ჩარიცხვების წილი, უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები




წყარო: მსოფლიო ბანკი



აღსანიშნავია, რომ ხარისხიანი განათლების მიღების მიზნით საზღვარგარეთ წასული ქართველი სტუდენტების რიცხვი იზრდება. ევროსტატის მონაცემებით, 2017 წელს 11.3 ათასი ქართველი სტუდენტი სწავლობდა უცხო ქვეყნებში, 2013 წელს კი 7.1 ათასი. საზღვარგარეთ სტუდენტთა ნახევარზე მეტი სწავლობდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 2017 წლის მდგომარეობით, 35% - ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, ხოლო დანარჩენი (13%) აზიის ქვეყნებში.

**გრაფიკი 34: საზღვარგარეთ განათლებაზე დახარჯული თანხები მზარდია**

საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ განათლებაზე დახარჯული თანხები, მლნ აშშ დოლარი



წყარო: ეროვნული ბანკი

## პრობლემა #1: აბიტურიენტების სტაბილური მიწოდება


სტუდენტების უდიდესი ნაწილი სწავლობს საბაკალავრო საფეხურზე (2019 წელს 73.2%), სადაც მოთხოვნის ძირითადი წყაროს სკოლადამთავრებულები წარმოადგენენ. ამრიგად, სექტორის ზრდა შეზღუდულია ზოგადი განათლების კურსდამთავრებულების რაოდენობით, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია დემოგრაფიულ ტენდენციებსა და სკოლიდან უნივერსიტეტში გადასასვლელ ბარიერებზე.

საბაზო განათლების შემდგომ (მე-9 კლასი) მოსწავლეთა საშუალოდ 15-20% ვერ ახერხებს სრული საშუალო განათლების დასრულებას ბოლო 5 წლის მონაცემებით, რაც ძირითადად გამოწვეულია ფინანსური მდგომარეობის გამო სწავლის შეწყვეტით ან საატესტატო გამოცდებში არასაკმარისი შედეგების ჩვენებით. ერთიანი ეროვნული გამოცდები კიდევ ერთი ბარიერია სკოლიდან უნივერსიტეტში გადასვლის პროცესში, რასაც აბიტურიენტთა 65-75% ართმევს თავს წარმატებით. სკოლის მოსწავლეების ამჟამინდელი რაოდენობისა და სკოლის დამთავრების/ჩარიცხვის ტენდენციების გათვალისწინებით, ველით, რომ ბაკალავრიატის მიღება შემცირდება 28 ათას სტუდენტამდე 2020-21 წლებში, მაგრამ გაიზარდება 31-32 ათასამდე 2022-23 წლებში.



**გრაფიკი 35: სკოლებიდან აბიტურიენტების მიწოდება სტაბილურია**

განათლების მიღების მაჩვენებლები სხვადასხვა საფეხურზე, '000



წყარო: საქსტატი  
შენიშვნა: სტუდენტების მიღება მოიცავს გვიანადრეულ ჩარიცხვებს

## პრობლემა #2: ხელმისაწვდომობა

უმაღლესი განათლება არის მძიმე ფინანსური ტვირთი ქართველი მოსახლეობისთვის. Eurostudent-ის თანახმად, სწავლასთან დაკავშირებული თვიური ხარჯები, რომლებიც საქართველოში 116.2 PPS<sup>5</sup>-ს შეადგენს, საკმაოდ მაღალია ევროპის მაღალშემოსავლიან და განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო დაფინანსების სიმწირით. შედარებისთვის, სწავლასთან დაკავშირებული ყოველთვიური ხარჯები თურქეთში შეადგენს 112.7 PPS-ს, უნგრეთში 74.3 PPS-ს და რუმინეთში 57.3 PPS-ს. სხვაობა კიდევ უფრო შესამჩნევია, დანახარჯების შემოსავლებთან მიმართებაში შედარებისას, რაც აჩვენებს ქართველი სტუდენტების დაბალ გადახდისუნარიანობას.

სწავლის საფასური წარმოადგენს უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ მთავარ დანახარჯს, 85% წილით ჯამურ ხარჯებში. სახელმწიფო უნივერსიტეტებში განსაზღვრულია ყოველწლიური სწავლის საფასურის ჭერი - 2,250 ლარი, ხოლო კერძო ინსტიტუტებს აქვთ თავისუფლება განსაზღვრონ სწავლის საფასური აკადემიური წლის დასაწყისში და მოახდინონ შემდგომი კორექტირება.


სასწავლო მასალები უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ხარჯების მხოლოდ 5%-ს შეადგენს საქართველოში, ევროპულ ქვეყნებში კი საშუალოდ 18%-ს. სასწავლო მასალების მცირე წილი მთლიან ხარჯებში აიხსნება საქართველოში ბეჭდური და ციფრული სახელმძღვანელოების არარეგულირებული ბაზრით და უცხოელი თუ ქართველი ავტორების სახელმძღვანელოების პირატული ასლების ხელმისაწვდომობით.

<sup>5</sup> The purchasing power standard (PPS) არის ხელოვნური ვალუტის ერთეული, ერთ PPS-ს შეუძლია ერთიდაიმავე რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შეძენა თითოეულ ქვეყანაში



**გრაფიკი 36: უმაღლესი განათლების სწავლის ხარჯები საქართველოში შედარებით მაღალია**

უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ხარჯები, PPS, 2018



წყარო: Eurostudent, 2018


შენიშვნა: შემოსავლები მოიცავს ოჯახის/პარტნიორის დახმარებას, შემოსავლებს სხვა საჯარო და კერძო წყაროებიდან, მათ შორის არაფულადი სახითაც

ქართველ სტუდენტებს ძირითადად ფინანსურად ოჯახები ეხმარებიან, როცა სხვა ევროპულ ქვეყნებში სტუდენტების შემოსავლებში მეტი წილი უკავია თვითგამომუშავებულ შემოსავლებს და სახელმწიფო დახმარებას, რაც ამსუბუქებს ფინანსურ ტვირთს შინამეურნეობებზე.

სტუდენტური სესხების სიმწირე საქართველოში კიდევ ერთი ბარიერია სტუდენტებისთვის, რაც ამცირებს მათ გადახდისუნარიანობას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კერძო უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს საკუთარ დაფინანსების მექანიზმებს, რათა გაზარდონ ხელმისაწვდომობა და, შესაბამისად, სტუდენტების რაოდენობა.

**გრაფიკი 37: ქართველი სტუდენტები ფინანსურად ოჯახზე არიან დამოკიდებულნი**

სტუდენტების თვითური შემოსავლის განაწილება წყაროს მიხედვით, 2018



წყარო: Eurostudent, 2018

შენიშვნა: სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან განხორციელებული ტრანსფერები არ შედის სახელმწიფო დახმარებაში

**პრობლემა #3: სწავლის დაგვიანებული დამთავრება**


სახელმწიფო დაწესებულებებში სტუდენტების დაახლ. 65% და კერძო ინსტიტუტებში სტუდენტთა მხოლოდ ნახევარი ახერხებს დროულად ოთხწლიანი (საბაკალავრო) პროგრამების დასრულებას. სწავლის მაღალი ღირებულება და დაბალი აკადემიური შედეგები არის სწავლის მიტოვებისა



და დაგვიანებული დამთავრების ძირითადი მიზეზები. აღსანიშნავია, რომ მამრობითი სქესის სტუდენტთა დიდი ნაწილი, განზრახ იხანგრძლივებს სტუდენტის სტატუსს სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან თავის არიდების მიზნით. საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, სხვა უნივერსიტეტებში/პროგრამებში ადგილობრივი მობილობა და სრულ განაკვეთზე სამუშაოს დაწყება დამატებითი ფაქტორებია, რომლებიც ხშირად იწვევენ სწავლის გვიან დამთავრებას.


**გრაფიკი 38: სახელმწიფო დაწესებულებებში სტუდენტების 65% და კერძო ინსტიტუტებში სტუდენტთა მხოლოდ ნახევარი ახერხებს ოთხწლიან (საბაკალავრო) პროგრამების დროულად დასრულებას**

სახელმწიფო უნივერსიტეტები, '000 სტუდენტი



წყარო: საქსტატი  
შენიშვნა: არ მოიცავს ჯანდაცვის პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობას

კერძო უნივერსიტეტები, '000 სტუდენტი



წყარო: საქსტატი  
შენიშვნა: არ მოიცავს ჯანდაცვის პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობას

**შესაძლებლობა #1: უფროსი ასაკობრივი ჯგუფები**

უფროსი ასაკის სტუდენტების სეგმენტი ქართული უმაღლესი განათლების სექტორში თანდათან იზრდება: ამჟამად, სტუდენტების 14.3%-ს წარმოადგენენ 25+ წლის ასაკის ადამიანები, როცა იმავე კატეგორიაში ათი წლის წინ სტუდენტების მხოლოდ 6.6% იყო. მრავალჯერადი ჩაბარება და მაგისტრატურის საფეხურზე მოთხოვნის ზრდა არის უფროსი ასაკის მოსახლეობისგან მოთხოვნის ზრდის ძირითადი მიზეზები. აღსანიშნავია ისიც, რომ შეზღუდული სამუშაო შესაძლებლობები ხშირად უზბიძებს ბაკალავრის კურსდამთავრებულებს სწავლა მალევე განაგრძონ მაგისტრატურის საფეხურზე.

საშუალოდ, ბოლო 3 წლის განმავლობაში, საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხვის 5.8% მოდის სტუდენტებზე, რომლებსაც უკვე აქვთ უმაღლესი განათლების ხარისხი. მრავალჯერადი ჩაბარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სავალდებულო სამხედრო სამსახურის თავიდან აცილება, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ნაწილი მიზნად ისახავს კარიერული გზის შეცვლას.


ქართულ უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნა უფროსი ასაკის ჯგუფებისგან ჯერ კიდევ მცირეა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, რაც მიუთითებს ზრდის პოტენციალზე ამ სეგმენტში. ჩვენი მოლოდინით, მოსახლეობის დაბერება და არსებული უნარების შეუსაბამობა შრომის ბაზარზე (იხ. გვ. 46-47) ხელს შეუწყობს ზრდასრულთა მოთხოვნას საგანმანათლებლო სერვისებზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. ჩვენი აზრით, მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდება მოკლე ციკლის პროფესიულ პროგრამებზე და სხვა მოქნილ საგანმანათლებლო სერვისებზე.






**გრაფიკი 39: საქართველოს ჰყავს ახალგაზრდა სტუდენტები, თუმცა მოთხოვნა უფროსი ასაკობრივი ჯგუფებისგან მზარდია**

სტუდენტების განაწილება ასაკის მიხედვით



წყარო: OECD, საქსტატი, გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: საქართველოს მაჩვენებელი მოცემულია 2019 წლის, ხოლო სხვა ქვეყნები 2017 წლის მონაცემებით

სტუდენტების განაწილება ასაკის მიხედვით საქართველოში




წყარო: საქსტატი

**შესაძლებლობა #2: საერთაშორისო სტუდენტები**

საერთაშორისო სტუდენტების რიცხვი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაიზარდა 16-ჯერ 13.3 ათასამდე 2009-19 წლებში. შედეგად, უცხოელი სტუდენტების წილი საქართველოში მთლიანი ჩარიცხვების 8.7%-ს შეადგენს, რაც რეგიონის და ევროპის ბევრი ქვეყნის მაჩვენებელს აღემატება. მიმდინარე რეფორმებისა და ხარისხის მოსალოდნელი გაუმჯობესების, კერძო სექტორის ჩართულობის, უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამების და ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის განვითარების გათვალისწინებით, საქართველოს აქვს პოტენციალი გახდეს განათლების ჰაბი რეგიონში.

**გრაფიკი 40: უცხოელი სტუდენტების რიცხვი საქართველოში სწრაფად იზრდება**


უცხოელი სტუდენტები ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, '000



წყარო: საქსტატი

**გრაფიკი 41: უცხოელი სტუდენტების უმეტესობა ინდოეთიდანაა**

უცხოელი სტუდენტები წარმომავლობის მიხედვით, 2018/19




წყარო: საქსტატი



საერთაშორისო სტუდენტების უმეტესობა არის ინდოეთიდან (51.3% 2019/20 წელს) და აზერბაიჯანიდან (10.1%). უცხოელ სტუდენტთა გამოკითხვის<sup>6</sup> მიხედვით, მათი მხრიდან მზარდი მოთხოვნის ძირითადი მიზეზებია: უსაფრთხოება, ხელმისაწვდომობა (დაბალი წლიური გადასახადი და ცხოვრების სავსაშურო), ქართული დიპლომის საერთაშორისო აღიარება, ვიზის აღების სიმარტივე და განათლების ხარისხი. საერთაშორისო სტუდენტებისთვის სწავლება საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში ძირითადად მიმდინარეობს ინგლისურ და რუსულ ენებზე.

### გრაფიკი 42: საქართველოს აქვს პოტენციური გაზდეს განათლების რეგიონული ჰაბი

უცხოელი სტუდენტების პროცენტული წილი სტუდენტების ჯამურ რაოდენობაში, უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები



წყარო: UNESCO, გალტ & თაგარტი

აღსანიშნავია, რომ უცხოელი სტუდენტები უპირატესობას ანიჭებენ კერძო უნივერსიტეტებს. 2019/20 სასწავლო წელს კერძო დაწესებულებებში სწავლობდა 8.9 ათასი საერთაშორისო სტუდენტი (საერთო რაოდენობის 66.8%), ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტებში - 4.4 ათასი (43.2%).

სამედიცინო პროგრამები ყველაზე პოპულარულია საერთაშორისო სტუდენტებში და მათ 80%-ს იზიდავს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ორი კერძო - ნიუ ვიჟენ და საქართველოს უნივერსიტეტი არიან ყველაზე მიმზიდველი დაწესებულებები უცხოელი სტუდენტებისთვის, ერთად 42.9%-იანი წილით ჯამურ მოხილობაში.

<sup>6</sup> კვლევა ჩატარდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ



**ცხრილი 8: ჯანდაცვის პროგრამები ყველაზე პოპულარულია საერთაშორისო სტუდენტებში**

ტოპ უნივერსიტეტები უცხოელი სტუდენტების რაოდენობის მიხედვით, 2019/20

| დაწესებულება  | სამედიცინო პროგრამებზე | სხვა პროგრამებზე | სულ უცხოელი სტუდენტები | უცხოელი სტუდენტების წილი ჯამურ რაოდენობაში | წილი უცხოელი სტუდენტების რაოდენობაში |
|---|------------------------|------------------|------------------------|--|--------------------------------------|
| თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი                 | 2,243                  | 40               | 2,283                  | 26.5%                                      | 17.0%                                |
| ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი                                      | 1,813                  | 110              | 1,923                  | 83.1%                                      | 14.3%                                |
| საქართველოს უნივერსიტეტი                                    | 1,162                  | 377              | 1,539                  | 22.5%                                      | 11.5%                                |
| ევროპის უნივერსიტეტი  | 923                    | 4                | 927                    | 64.3%                                      | 6.9%                                 |
| კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი                         | 784                    | 34               | 818                    | 23.0%                                      | 6.1%                                 |
| ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 461                    | 178              | 639                    | 2.9%                                       | 4.8%                                 |
| ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი             | 602                    | 15               | 617                    | 9.7%                                       | 4.6%                                 |
| პეტრე შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია             | 488                    | -                | 488                    | 64.7%                                      | 3.6%                                 |
| სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი                               | 483                    | 1                | 484                    | 56.8%                                      | 3.6%                                 |
| თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი                 | 334                    | 143              | 477                    | 67.4%                                      | 3.6%                                 |
| სხვა  | 1,610                  | 1,599            | 3,209                  | 3.2%                                       | 23.9%                                |
| <b>სულ</b>  | <b>10,903</b>          | <b>2,501</b>     | <b>13,404</b>          | <b>8.7%</b>                                | <b>100.0%</b>                        |

წყარო: განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: სტუდენტების რაოდენობა მცირედით განსხვავდება საქსტატისა და განათლების სამინისტროს მონაცემებში სტატისტიკის თარიღიდან გამომდინარე

**შესაძლებლობა #3: კონსოლიდაცია**

კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საშუალო ზომა 2009-19 წლების განმავლობაში 271-დან 1,256 სტუდენტამდე გაიზარდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად მცირეა საჯარო დაწესებულებებთან შედარებით, სადაც საშუალოდ 5.2 ათასი სტუდენტი სწავლობდა 2019 წლის მდგომარეობით (წამყვან სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლობს 20 ათასამდე სტუდენტი). ჩვენ ველით, რომ კონცენტრაცია კერძო სექტორში გაგრძელდება, რასაც ხელს შეუწყობს როგორც M&A აქტივობა, ისე მთავარი მოთამაშეების ორგანული ზრდა.

**ცხრილი 9: კერძო უმაღლესი განათლების სექტორი ფრაგმენტულია**

კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განაწილება სტუდენტების რაოდენობის მიხედვით 2019/20

| სტუდენტების დიაპაზონი | დაწესებულებების რაოდენობა | # სტუდენტები '000 | დაწესებულებები % | სტუდენტები % |
|-----------------------|---------------------------|-------------------|------------------|--------------|
| 0-100                 | 8                         | 0.4               | 19%              | 1%           |
| 101-500               | 9                         | 2.5               | 21%              | 5%           |
| 501-1000              | 10                        | 7.8               | 23%              | 15%          |
| 1001-2000             | 8                         | 11.3              | 19%              | 21%          |
| 2001-4000             | 5                         | 13.7              | 12%              | 26%          |
| >4000                 | 3                         | 17.4              | 7%               | 33%          |
| <b>სულ</b>            | <b>43</b>                 | <b>53.0</b>       | <b>100%</b>      | <b>100%</b>  |

წყარო: განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

ნიშვნა: სტუდენტების რაოდენობა მცირედით განსხვავდება საქსტატისა და განათლების სამინისტროს მონაცემებში სტატისტიკის თარიღიდან გამომდინარე


დაბალი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, პრემიუმ უნივერსიტეტებზე მოთხოვნა შედარებით სუსტია და სტუდენტების უდიდესი ნაწილი ჩარიცხულია საშუალოფასიან და ხელმისაწვდომ



პროგრამებზე. აღსანიშნავია, რომ საშუალო-ფასიან სეგმენტზე მოთხოვნა იზრდება დაბალფასიანი პროგრამების ხარჯზე, ხოლო პრემიუმ სეგმენტზე მოთხოვნა შედარებით სტაბილურია.

**გრაფიკი 43: კერძო უნივერსიტეტებში მოთხოვნა საშუალო-ფასიან სეგმენტზე იზრდება**

სტუდენტების მიღება კერძო უნივერსიტეტების საბაკალავრო პროგრამებზე



წყარო: NAEC, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ხელმისაწვდომია უნივერსიტეტები 2,500 ლარამდე საშუალო წლიური საფასურით, საშუალო- 2,500-4,000 ლარი, პრემიუმი - 4,000 ლარზე მეტი

სექტორში M&A აქტივობის ზრდის გარდა, მოსალოდნელია სასწავლო დაწესებულებების მიერ სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურების მოცვა. წარმატებული კერძო უნივერსიტეტები იწყებენ სკოლების, კორპორატიული ტრენინგებისა და პროფესიული პროგრამების შეთავაზებას, რაც პროვაიდერებს მომხმარებელთა ბაზის გაზრდისა და მასშტაბის ეკონომიის მიღწევის საშუალებას მისცემს.

**ცხრილი 10: კონსოლიდაციის შესაძლებლობა არსებობს ყველა საფასო სეგმენტში**

წამყვანი კერძო უნივერსიტეტების ბაზრის წილი სტუდენტების რაოდენობის მიხედვით, 2019/20

| დაწესებულების დასახელება   | სტუდენტების რაოდენობა '000 | ბაზრის წილი* | იურიდიული სტატუსი | საფასო სეგმენტი |
|--|----------------------------|--------------|-------------------|-----------------|
| საქართველოს უნივერსიტეტი   | 6.8                        | 12.9%        | კომერციული        | ხელმისაწვდომი   |
| საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი  | 6.1                        | 11.6%        | კომერციული        | ხელმისაწვდომი   |
| კავკასიის უნივერსიტეტი   | 4.4                        | 8.3%         | კომერციული        | პრემიუმი        |
| კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  | 3.6                        | 6.7%         | კომერციული        | ხელმისაწვდომი   |
| თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი   | 2.8                        | 5.3%         | კომერციული        | პრემიუმი        |
| ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი  | 2.7                        | 5.1%         | კომერციული        | ხელმისაწვდომი   |
| ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი   | 2.3                        | 4.4%         | არა-კომერციული    | ხელმისაწვდომი   |
| საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი  | 2.2                        | 4.2%         | არა-კომერციული    | საშუალო         |
| შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი   | 1.8                        | 3.3%         | კომერციული        | პრემიუმი        |
| ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი  | 1.6                        | 2.9%         | კომერციული        | პრემიუმი        |
| გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  | 1.5                        | 2.8%         | კომერციული        | საშუალო         |
| ევროპის უნივერსიტეტი   | 1.4                        | 2.7%         | კომერციული        | ხელმისაწვდომი   |
| საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა)                                 | 1.3                        | 2.5%         | არა-კომერციული    | პრემიუმი        |
| თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი   | 1.3                        | 2.5%         | კომერციული        | ხელმისაწვდომი   |
| საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი | 1.3                        | 2.4%         | არა-კომერციული    | ხელმისაწვდომი   |

წყარო: განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ბაზრის წილი დათვლილია კერძო სასწავლებლებში სტუდენტების რაოდენობიდან.

ხელმისაწვდომია უნივერსიტეტები 2,500 ლარამდე საშუალო წლიური საფასურით (ბაკალავრიატი), საშუალო - 2,500-4,000 ლარი, პრემიუმი - 4,000 ლარზე მეტი

შრომის ბაზარი და  
განათლება





უმადლესი განათლება საქართველოში დასაქმების შანსს უმნიშვნელოდ ზრდის და სახელფასო დანამატს მცირედით აუმჯობესებს. დაბალი უკუგების მიზეზები კომპლექსურია: (i) უმაღლესი განათლების სისტემა ჭარბი რაოდენობის კურსდამთავრებულებს აწვდის ეკონომიკას, სადაც მოთხოვნა მაღალია დაბალი კვალიფიკაციის მქონე, დაბალანაზღაურებად პერსონალზე, (ii) სკოლისა და უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულები იღებენ არაინფორმირებულ გადაწყვეტილებებს კარიერის დაგეგმვაში, (iii) ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ ხდება საჭირო უნარების გამომუშავება. შედეგად, ქართველ ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე მაღალია, მნიშვნელოვანი შეუსაბამობაა დასაქმებულების პროფესიებსა და დაკავებულ პოზიციებს შორის და მაღალია თვითდასაქმების დონე.

- 15-დან 24 წლამდე ასაკის ადამიანებიდან ყოველი მეოთხე არც სწავლობს და არც მუშაობს
- დამწყებ პოზიციებზე ვაკანსიების დაახლოებით 60% არ მოითხოვს უმაღლეს განათლებას, ჩვენი შეფასებით
- დასაქმებულთა უმეტესობა დაბალ-პროდუქტიულ, დაბალანაზღაურებად სექტორებშია კონცენტრირებული
- დასაქმებულთა მხოლოდ 13% მუშაობს საკუთარი პროფესიით

საქართველოს განათლების სისტემა არ შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მთავრობა რეფორმის ახალ ტალღას იწყებს, თუმცა მომავალი უნარებისა და საჭირო პროფესიების პროგნოზი, რაც უნდა იყოს განათლების პოლიტიკის საფუძველი, ჯერ დადგენილი არ არის.

ამ თავში ჩვენ ვცდებით ვუპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს:


1. როგორ მუშაობს საქართველოს შრომის ბაზარი?
2. რატომ არ შეესაბამება კურსდამთავრებულების მიწოდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს?
3. აქვს თუ არა განათლებაში ინვესტიციას ეკონომიკური სარგებელი კურსდამთავრებულებისთვის?

## კითხვა #1: როგორ მუშაობს საქართველოს შრომის ბაზარი?

საქართველოს ეკონომიკური ზრდის მთავარი წყარო კაპიტალისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებაა და სამუშაო ძალის წვლილი მცირეა. 2011-2019 წლებში ეკონომიკის საშუალო რეალური ზრდა 4.7% იყო, სადაც სამუშაო ძალის კონტრიბუცია მხოლოდ 0.7 პროცენტული პუნქტია, ხოლო დანარჩენი 4.0 პროცენტული პუნქტი - კაპიტალის დაგროვებამ და პროდუქტიულობის გაუმჯობესებამ გამოიწვია.

### გრაფიკი 44: ეკონომიკურ ზრდაში სამუშაო ძალის წილი მცირეა


საქართველოს საშუალო რეალური ეკონომიკური ზრდა, 2011-2019



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

### გრაფიკი 45: დასაქმება სოფლის მეურნეობაში კვლავ მაღალია

დასაქმება და მშპ სექტორების მიხედვით, 2019




მოსალოდნელია დასაქმებულთა გადანაცვლება სოფლის მეურნეობიდან უფრო პროდუქტიულ მომსახურების სფეროში

წყარო: საქსტატი



**დიაგრამა 2: საქართველოს სამუშაო ძალის სტრუქტურა, 2019**

ადამიანების რაოდენობა, '000





წყარო: საქსტატი, მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი  
\*15 და უფროსი ასაკის მოსახლეობა

**მომსახურების სფერო ყველაზე დიდი დამსაქმებელია 2014 წლიდან**, რადგან დასაქმებულებმა გადაინაცვლეს არაპროდუქტიული სოფლის მეურნეობიდან უფრო პროდუქტიულ მომსახურების სექტორებში. შესაბამისად, მომსახურების სფეროში დასაქმებულთა წილი გაიზარდა 43.5%-დან 54.0%-მდე 2007-19 წლებში, ხოლო მშპ-ში მომსახურების წილმა 2019 წელს 78.4%-ს მიაღწია. ამასთან, წარმოება მშპ-ს 14.4%-ს შეადგენს, მაგრამ დასაქმებულთა მხოლოდ 7.8%-ს მოიცავს, რაც ამ სფეროში დასაქმებულთა პროდუქტიულობაზე მიანიშნებს. შემცირების მიუხედავად, სოფლის მეურნეობა კვლავ დიდი დამსაქმებელია. მისი წილი 2019 წელს მთლიანი დასაქმების 38.2% იყო (ძირითადად თვითდასაქმებულები), როცა 2007 წელს 49.8%-ს შეადგენდა. საქართველო ამ სექტორული განაწილებით მკვეთრად განსხვავდება განვითარებული ქვეყნებისგან, სადაც მრეწველობა და მომსახურება უმსხვილესი დამსაქმებლები არიან.

**გრაფიკი 46: დასაქმებულებმა სოფლის მეურნეობიდან გადაინაცვლეს მომსახურების სფეროში, ძირითადად მშენებლობასა და ვაჭრობაში**

დასაქმებულთა რაოდენობა სექტორების მიხედვით, '000 ადამიანი

დასაქმების ცვლილება სექტორების მიხედვით, 2017-19, '000 ადამიანი



წყარო: საქსტატი  
შენიშვნა: მომსახურება მოიცავს სამშენებლო სექტორსაც


წყარო: საქსტატი  
შენიშვნა: მონაცემები აჩვენებს დასაქმებულთა რაოდენობის წმინდა ცვლილებას და ზუსტად არ ასახავს სექტორებს შორის გადაადგილებას



საქართველოს უმუშევრობის დონე შემცირდა, მაგრამ კვლავ ორნიშნა - 11.6%-ს შეადგენს, 2019 წლის მდგომარეობით. აღსანიშნავია, რომ დასაქმების გაუმჯობესების მიზეზია, როგორც სამუშაო ძალის შემცირება (დემოგრაფიისა და მიგრაციის გამო), ისე დაქირავებით დასაქმებულთა ზრდა კერძო სექტორში, ძირითადად ვაჭრობის, წარმოების, სამშენებლო და ტურიზმის ინდუსტრიებში. ამასთან, ბოლო პერიოდში სახელმწიფო სექტორში დასაქმება სტაბილურია, რაც ასახავს კონსოლიდაციის პროცესს. მაღალი უმუშევრობა ზრდის მოსახლეობის მიგრაციას და საზღვარგარეთ 1 მილიონზე მეტი ემიგრანტია დასაქმებული.

გრაფიკი 47: უმუშევრობის დონე კვლავ მაღალია


დასაქმება და უმუშევრობის დონე



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 48: დაქირავებით დასაქმებამ თვითდასაქმებას გადააჭარბა

დასაქმებულთა რაოდენობა, '000 ადამიანი




წყარო: საქსტატი

დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვმა თვითდასაქმებულების რაოდენობას პირველად გადააჭარბა 2018 წელს და მთლიანი დასაქმების დაახლოებით ნახევარი შეადგინა. დაქირავებული პირების რაოდენობა კერძო სექტორში თითქმის გაორმაგდა 2007-დან 2019 წლამდე და 550 ათასს მიაღწია, ხოლო მისი წილი მთლიან დაქირავებით დასაქმებაში 65%-მდე გაიზარდა. ზრდის მიუხედავად დაქირავებით დასაქმების წილი საქართველოში მაინც დაბალია და მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალი გააჩნია.

გრაფიკი 49: დაქირავებით დასაქმება გაიზარდა კერძო სექტორში

დაქირავებით დასაქმებულები, '000 ადამიანი



წყარო: საქსტატი


საქართველოში ძირითადად ვაჭრობისა და ტურიზმის სექტორების ზრდა იწვევს დასაქმების ზრდას, სხვა სექტორებისგან განსხვავებით. ჩვენ გავაანალიზეთ ბიზნეს სექტორის სტატისტიკა (ფინანსური სექტორის



გამორიცხვით) 2008-18 წლებში, რათა დაგვედგინა კავშირები სექტორის ზრდასა (ზრუნვა) და დასაქმებას შორის. ჩვენმა ანალიზმა აჩვენა, რომ სავაჭრო სექტორის 16% საშუალო წლიურმა ზრდამ 2008-18 წლებში დასაქმება 15%-ით გაზარდა იგივე პერიოდში, ხოლო ტურიზმის (სასტუმროები და რესტორნები) სექტორის შესაბამისი მაჩვენებლებია 24% და 16%. ამის საპირისპიროდ, ჯანდაცვის სექტორის საშუალო წლიურმა 16%-იანმა ზრდამ დასაქმება მხოლოდ 4%-ით გაზარდა იმავე პერიოდში. დასაქმების ზრდაზე ასევე პოზიტიურად აისახება შემდეგი სექტორების ზრდა: ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT), ადმინისტრაციული და პროფესიული მომსახურებები<sup>7</sup>. ამასთან, უძრავი ქონების, მრეწველობისა და განათლების ბიზნესების გაფართოება შედარებით მცირე ტემპებით ზრდის დასაქმებას.

**გრაფიკი 50: ტურიზმი, ვაჭრობა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ადმინისტრაციული და პროფესიული სერვისების ზრდა ქმნის მეტ დასაქმებას**

კერძო სექტორის საშუალო წლიური ზრდა, 2008-18



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: ხელოვნების, გართობისა და რეკრეაციის სექტორი ამოღებულია როგორც გამოწვევის


**წარმოების დაბალი ზაზიდან გამომდინარე, მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ პროფესიებზე შეზღუდულია.** რეალური სურათის მისაღებად, ჩვენს ანალიზში გამოვრიცხეთ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობა (უკვე დაბალი კვალიფიკაციის მქონე და ძირითადად თვითდასაქმებული) რათა შეგვეფასებინა დასაქმება ფორმალურ ეკონომიკაში. დაბალკვალიფიციური პროფესიები (ხელოსნები, ტექნიკოსები, მომსახურებისა და გაყიდვების პერსონალი, მოსამსახურეები და სხვა დაბალკვალიფიციური პროფესიები) მთლიანი დასაქმების 71%-ს შეადგენენ (2019). აღსანიშნავია, რომ 2017-19 წლებში მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა დაბალკვალიფიციურ პროფესიებზე, კერძოდ, ხელოსნებზე, ქარხნისა და მანქანების ოპერატორებზე/ამწყობებზე (+20.4%) და სავაჭრო/მომსახურების სფეროს პერსონალზე (+10.4%).

<sup>7</sup> მოიცავს იურიდიულ, სააღრიცხვო და საკონსულტაციო საქმიანობებს, სათავო ოფისების საქმიანობას, არქიტექტურულ და საინჟინრო, მეცნიერულ, სარეკლამო, კვლევით და სხვა პროფესიულ საქმიანობებს.



**გრაფიკი 51: დაბალკვალიფიციური პოზიციები შეადგენენ დასაქმების 71%-ს**


დასაქმება პოზიციების მიხედვით (სოფლის მეურნეობის გარდა), 2019



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

**გრაფიკი 52: მოთხოვნა ყველაზე მეტად გაიზარდა ხელოსნებზე**

დასაქმების ცვლილება პოზიციების მიხედვით, 2017-19




წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

**პროდუქტიულ სექტორებში ყველაზე მაღალი ხელფასებია, თუმცა ცოტა ადამიანს ასაქმებენ.** ჩვენ ასევე გავანალიზეთ თუ რომელი სექტორები ქმნის მაღალ დამატებულ ღირებულებას ერთ თანამშრომელზე. ბუნებრივია, სექტორები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებენ და/ან ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურები აქვთ, ქმნიან მაღალ დამატებულ ღირებულებას ერთ თანამშრომელზე და შესაბამისად იხდიან მაღალ ანაზღაურებას. ესეთი სექტორებია პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, IT და ფინანსური მომსახურების სფეროები.

**გრაფიკი 53: მაღალ-პროდუქტიულ სექტორებს ჰყავთ მაღალ-ანაზღაურებადი, თუმცა მცირე ზომის სამუშაო ძალა**

სამუშაო თვიური ანაზღაურება და მშპ ერთ დასაქმებულზე, 2018



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ამოღებულია უძრავი ქონების საქმიანობები როგორც გამონაკლისი





## კითხვა #2: რატომ არ შეესაბამება კურსდამთავრებულების მიწოდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს?

### ფაქტორი #1 კურსდამთავრებულთა არაგონივრული განაწილება


საქართველოში უმაღლესი და პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებზე შრომის ბაზრის მოთხოვნის გასაანალიზებლად სანდო მონაცემები არ არსებობს. ჩვენ შევეცადეთ, დაგვემუშავებინა საქსტატის დასაქმების სტატისტიკა, ინფორმაცია ძირითადი ონლაინ ვაკანსიების პლატფორმებიდან (Hr.ge და Jobs.ge) და სხვა წყაროებიდან (მსოფლიო ბანკი, განათლების სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, და ა.შ.), რათა შეგვეფასებინა კურსდამთავრებულთა მოთხოვნა-მიწოდება და განათლების ეკონომიკური სარგებელი. ამ მიზნისთვის, შევავსეთ რამდენი და რა სამუშაო ადგილები შეიქმნა საქართველოში საწყის პოზიციებზე და ამ პოზიციების შესაბამისობა უმაღლესი განათლების 2019 წლის კურსდამთავრებულების პროფესიებთან.

**კურსდამთავრებულთა ამჟამინდელი რაოდენობისთვის საქართველოს ეკონომიკა არ ქმნის საკმარის სამუშაო ადგილებს.** ახალგაზრდების 60%-ზე მეტი იღებს უმაღლეს განათლებას საქართველოში, ხოლო საწყის პოზიციებზე ვაკანსიების მხოლოდ 40% მოითხოვს უმაღლესი განათლების ხარისხს, ჩვენი შეფასებით. ეს აიძულებს კურსდამთავრებულებს დასაქმდნენ დაბალკვალიფიციურ, დაბალანაზღაურებად პოზიციებზე, რაც იწვევს ეკონომიკაში რესურსების არაეფექტურ გამოყენებას.

**მომსახურებისა და გაყიდვების პერსონალი ყველაზე მოთხოვნადი საწყისი პოზიციებია.** 2019 წელს შექმნილი საწყისი პოზიციების ნახევარზე მეტს მომსახურებისა და გაყიდვების ვაკანსიები წარმოადგენდა, ჩვენი შეფასებით. მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში ვაკანსიების დიდი რაოდენობა განპირობებულია არამარტო ვაჭრობისა და ტურიზმის სექტორების დომინირებით საქართველოს შრომის ბაზარზე, არამედ თანამშრომელთა მაღალი ბრუნვის მაჩვენებლითა და სეზონურობით.

### გრაფიკი 54: საქართველოში სამუშაო ძალის მიწოდება არ შეესაბამება მოთხოვნას

ახალი კურსდამთავრებულების მიწოდება (2019) და მოთხოვნა საწყის პოზიციებზე 2019, '000 ადამიანი/პოზიცია



წყარო: Hr.ge, Jobs.ge, საქსტატი, გალტ & თაგარტი

**სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის კურსდამთავრებულებს უწევთ დაბალკვალიფიციურ პოზიციებზე დასაქმება.** საფინანსო სექტორში საშუალოზე მაღალი ხელფასები აბიტურიენტებს უქმნის ბიზნესის, ადმინისტრაციისა და სამართლის პროგრამებზე ჩაბარების






სტიმულს (17.3 ათასი კურსდამთავრებულიდან 9.6 ათასი აღნიშნული პროგრამების სტუდენტი იყო 2019 წელს). თუმცა, ვინაიდან შესაბამის სფეროში დასაქმება შეზღუდულია, კურსდამთავრებულთა უდიდეს ნაწილს უწევს დაბალკვალიფიციურ, დაბალანაზღაურებად პოზიციებზე დასაქმება, ძირითადად, მომსახურებისა და გაყიდვების პერსონალად ვაჭრობისა და ტურიზმის სექტორებში.

**ამასთან ტექნიკურ უნარებზე მოთხოვნა შრომის ბაზარზე დაუკმაყოფილებელია.** ტექნიკოსებისა და ხელოსნების მოძიება საქართველოში ძირითადად ონლაინ პლატფორმების გარეთ, სხვა საშუალებებით ხდება, თუმცა ჩვენი შეფასებით ეს პროფესიები მეორე ყველაზე მოთხოვნად საწყის პოზიციებს წარმოადგენდნენ (20%-იანი წილით) 2019 წელს. პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა და მზაობა კი არ შეესაბამება მოთხოვნას, რაც შრომის ბაზარზე ამ კადრების დეფიციტს ქმნის.

**საერთაშორისო შედარება ადასტურებს ქართველ კურსდამთავრებულთა არაგონივრულ განაწილებას.** ბიზნესის, ადმინისტრირებისა და იურიდიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა წილი საქართველოში 33.8%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად მაღალია ისეთ ფინანსურ ცენტრებთან შედარებით, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი (18.8%) და აშშ (17.1%), მსოფლიო ბანკის მონაცემებით. ამავდროულად, ჩარიცხვები ინჟინერიის, წარმოებისა და მშენებლობის სფეროებში, რაც საქართველოს მშპ-ს 22%-ს შეადგენს, ერთ-ერთი ყველაზე დაბალია (მთლიანი ჩარიცხვის 8.3% 2019 წელს).

**გრაფიკი 55: საქართველოს განათლების სისტემა განაგრძობს ბიზნესის, ადმინისტრირებისა და იურიდიული პროგრამების კურსდამთავრებულების ჭარბ მიწოდებას**

უმაღლეს განათლებაში სტუდენტების განაწილება პროგრამების მიხედვით, უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები




წყარო: მსოფლიო ბანკი

**შედეგად, დასაქმებულთა მხოლოდ 13% მუშაობს საკუთარი სპეციალობით,** ჩვენი შეფასებით. აღსანიშნავია, რომ განათლებასა და სამუშაო ადგილს შორის შესაბამისობა შედარებით მაღალია ჯანდაცვის, ხელოვნებისა და განათლების სპეციალისტებისთვის. ამასთან, შეუსაბამობა ჩანს ყველა სხვა სპეციალობაში, მათ შორის ბიზნესის, სამართლის, ინჟინერიისა და მეცნიერების დარგის პროფესიონალებისთვის.



**გრაფიკი 56: საქართველოში კურსდამთავრებულთა 87%-ის სამუშაო ადგილი არ შეესაბამება მიღებულ განათლებას**

დასაქმებულების პროფესიისა და მიმდინარე პოზიციის შესაბამისობის დონე




წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

**ფაქტორი #2 განათლების ხარისხი**

დამსაქმებელთა აზრით, ქართული განათლების სისტემა კურსდამთავრებულებს არ აძლევს შესაბამის ტექნიკურ, კოგნიტურ და სოციალურ უნარებს. საქართველოში უნარებზე ბიზნესის მოთხოვნილების კვლევის თანახმად (2017)<sup>8</sup>, არასაკმარისი ტექნიკური უნარების დეფიციტი ყველაზე პრობლემურია კომპანიათა უდიდესი ნაწილისთვის (გამოკითხულთა 30.5%) დაქირავების პროცესში. კომპანიებს ყველაზე მეტად უჭირთ პერსონალის დაქირავება სპეციალურ აღჭურვილობასთან ან დაწესებულებაში გამოყენებულ პროცესებთან დაკავშირებული ტექნიკური უნარ-ჩვევებით. ეს აიხსნება პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების არასაკმარისი მიწოდებით და ბიზნესსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის არაეფექტური კომუნიკაციით. ამასთან, საქართველოში დამსაქმებლები ეძებენ თანამშრომლებს შესაბამისი კოგნიტური და ქცევითი უნარებით, რაც ასევე პრობლემურია საქართველოს სამუშაო ძალისთვის, რაც მიუთითებს განათლების სისტემაში ზოგადი ხარისხის პრობლემებზე.

**გრაფიკი 57: დამსაქმებლების მოსაზრებით კურსდამთავრებულებს არ აქვთ შესაბამისი ტექნიკური, კოგნიტური და სოციალური უნარები**

ძირითადი პრობლემები ახალი კადრის აყვანისას, 2017



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

<sup>8</sup> კვლევა ჩატარდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ





**სამუშაო ძალის უნარებით საქართველო 141 ქვეყნიდან 125-ე ადგილს იკავებს.** საერთაშორისო კვლევები ადასტურებს განათლების სისტემის ხარისხის პრობლემებსა და შრომითი ძალის დაბალ უნარებს საქართველოში. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის თანახმად, საქართველო სამუშაო ძალის უნარებით 141 ქვეყნიდან 125-ე ადგილს იკავებს, პერსონალის ტრენინგის ხარისხით 123-ე, ხოლო პროფესიული გადამზადების ხარისხით 135-ე ადგილს 2019 წელს, რითაც ჩამორჩება პოსტსაბჭოთა და სხვა შესადარის ქვეყნებს რეგიონში.

**გრაფიკი 58: ქართულ სამუშაო ძალას აქვს არასაკმარისი უნარები რეგიონის ქვეყნებთან შედარებით**

საქართველოს რეიტინგი 141 ქვეყნიდან, 2019

სამუშაო ძალის უნარების რეიტინგი 141 ქვეყანაში, ქულა (0-100), 2019



წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი  
შენიშვნა: 1-საუკეთესო, 141-რეიტინგში ბოლო

წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი  
შენიშვნა: 1-საუკეთესო, 141-რეიტინგში ბოლო, ქულა: 100 ქულა-საუკეთესო, 0 - უმცირესი


**კითხვა #3: აქვს თუ არა განათლებაში ინვესტიციას ეკონომიკური სარგებელი კურსდამთავრებულებისთვის?**

**ახალგაზრდებისთვის დასაქმება რთულია საქართველოში.** სწავლისა და კარიერული გზის არჩევას ინფორმაციის არარსებობა აფერხებს საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან შრომის ბაზარზე ჯანსაღ გადასვლას. ისინი, ვინც ვერ პოულობენ სამსახურს, რომელიც შეესაბამება მათ უნარებსა და მოლოდინებს, საქმდებიან დაბალი კვალიფიკაციის დროებით პოზიციებზე საკუთარი სპეციალობის მიღმა ან რჩებიან უმუშევრები. შედეგად, უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 20-24 წლის (30.5% 2019 წელს) და 25-29 (18.9%) წლის ასაკობრივ ჯგუფებში. გარდა ამისა, საქართველოს აქვს საკმაოდ მაღალი NEET<sup>9</sup> მაჩვენებელი: ქართველი ახალგაზრდების 26.9% არც დასაქმებული იყო და არც სწავლობდა 2018 წელს, რაც ევროკავშირის 10.4%-თან შედარებით გაცილებით მაღალია.

<sup>9</sup> NEET მაჩვენებელი არის იმ ახალგაზრდების წილი (15-დან 24 წლამდე), ვინც არ მუშაობს, სწავლობს ან გადის ტრენინგებს




**გრაფიკი 59: საქართველოს ახალგაზრდა მოსახლეობის აქტიურობა დაბალია**  
NEET მაჩვენებელი, 2018




წყარო: მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი

NEET მაჩვენებელი საქართველოში




**ჯანსაღ შრომით ბაზრებზე უმაღლესი განათლება ზრდის დასაქმების შანსს, მაგრამ ეს ასე არ ხდება საქართველოში.** საპირისპირო დამოკიდებულება განათლების დონესა და დასაქმების მაჩვენებელს შორის შერჩეულ ქვეყნებს შორის შეინიშნება მხოლოდ საქართველოში, სომხეთში, რუსეთსა და თურქეთში. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლებისა და სკოლის კურსდამთავრებულების უმუშევრობის მაჩვენებლებს შორის სხვაობა შემცირდა საქართველოში, 2011-18 წლების განმავლობაში 6.9 პუნქტიდან თითქმის ნულამდე, რაც მიუთითებს უმაღლესი განათლების დიპლომის გაზრდილ ღირებულებაზე. ამავდროულად, უმაღლესი განათლება ზოგად განათლებასთან შედარებით ანაზღაურებას 26%-ით ზრდის საქართველოში, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (56%).

**გრაფიკი 60: საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის უმუშევრობის დონე წლების განმავლობაში აღემატებოდა ზოგადი განათლების მქონე მოსახლეობის უმუშევრობის დონეს, თუმცა სხვაობა ბოლო წლებში შემცირდა**  
სხვაობა უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე მოსახლეობის დასაქმების დონეებს შორის



წყარო: მსოფლიო ბანკი


უმუშევრობა განათლების დონის მიხედვით საქართველოში





**გრაფიკი 61: საქართველოში უმაღლესი განათლება ქმნის მცირე ხელფასის ნამატს OECD ქვეყნებთან შედარებით**

უმაღლესი განათლების მიერ წარმოქმნილი ხელფასის ნამატი ზოგად განათლებასთან შედარებით, 25-64 წლის, უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები



წყარო: OECD, საქსტატი, გალტ & თავარტი

**საქართველომ საგანმანათლებლო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიას უნდა მიაღწიოს**, რათა ეკონომიკა უზრუნველყოს საჭირო უნარ-ჩვევების პერსონალით საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში. ასევე, გასათვალისწინებელია ეკონომიკური ცვლილებები პოსტ-პანდემიურ პერიოდში, რაც ამჟამად ფართო განხილვის საგანია მსოფლიოში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველო საჭიროებს საწარმოო პოტენციალის გაძლიერებას, რაც უნარ-ჩვევების გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია (იხ. საქართველოს ეკონომიკა - ახალი ეკონომიკური მოდელის საჭიროება გლობალური ცვლილებების პირობებში). ჩვენი ანალიზის საფუძველზე სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალია წარმოების, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორებში, რისთვისაც აუცილებელია პროფესიული განათლების განვითარება. დამატებით, პოტენციალს ვხედავთ ბიზნეს პროცესების აუტსორსინგში (BPO), კერძოდ ტელემარკეტინგისა და მომხმარებელთან ურთიერთობების მენეჯმენტის (CRM) და IT სერვისებში, რაც უცხო ენისა და ICT უნარებზე გაზრდის მოთხოვნას.

არასაკმარისი ცოდნის გათვალისწინებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მხარდაჭერისთვის. ამასთან, საქართველოში ინსტიტუციური ფაქტორები (ბიზნესის კეთების სიმარტივე, დაბალი გადასახადები, ენერჯის უწყვეტი მიწოდება, კარგად განვითარებული საბანკო სექტორი და ტელეკომუნიკაციები, ა.შ.) და იაფი სამუშაო ძალა ხელსაყრელია უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. თუმცა, ინვესტიციების ზრდისთვის სამუშაო ძალის დაბალი უნარ-ჩვევები ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია, რისი გაუმჯობესებისკენაც უნდა იყოს მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა.


**საქართველოს პოზიცია ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსში 2019**  
ადგილი 190 ქვეყნიდან

- მე-2 ბიზნესის დაწყება
- მე-14 გადასახადები
- 45-ე საგარეო ვაჭრობა



**გრაფიკი 62: საქართველოს აქვს კონკურენტული უპირატესობა იაფი მუშახელის გათვალისწინებით**

საშუალო ხელფასი, აშშ\$, უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები



წყარო: Unece



დახარბი



## დანართი 1: საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა

საქართველოს განათლების სისტემა მოიცავს სამ ძირითად საფეხურს: ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

ზოგადი განათლების ეტაპი გრძელდება 12 წლის განმავლობაში და მოიცავს სამ საფეხურს:

- **დაწყებითი** – გრძელდება 6 წელი 6–12 ასაკის ბავშვებში
- **საბაზო** – 3 წლის განმავლობაში 12–15 ასაკობრივ კატეგორიაში
- **საშუალო** – 3 წელი 15–18 ასაკობრივ ჯგუფში  
*ან:*
- **პროფესიული პროგრამები** 2 წლიანი ხანგრძლივობით

ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურები სავალდებულოა საქართველოში 6-15 წლის ასაკის ყველა ბავშვისთვის. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები იღებენ საბაზო განათლების სერთიფიკატს და შეუძლიათ გააგრძელონ სწავლა საშუალო საგანმანათლებლო საფეხურზე ან პროფესიულ პროგრამებზე. მხოლოდ სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატის მქონე მოსწავლეებს აქვთ უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება.

საქართველოში პროფესიული განათლება მოიცავს ხუთ საფეხურს. პროფესიული განათლებისა და სწავლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ, მიიღება შესაბამისი დონის პროფესიული დიპლომი. სრული ზოგადი განათლების სერთიფიკატი (ატესტატი) არის პროფესიული განათლების მეოთხე და მეხუთე საფეხურის პრერეკვიზიტი. პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება აქვთ შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებს:

- **პროფესიული კოლეჯი**, რომელსაც აქვს პროფესიული პროგრამების მხოლოდ პირველი სამი საფეხურის უზრუნველყოფის უფლება
- **საზოგადოებრივი კოლეჯი** – რომელიც სტუდენტებს სთავაზობს პროფესიული განათლების ყველა საფეხურს, აგრეთვე მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს
- **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლები)**, რომლებიც ავტორიზებულნი არიან განახორციელონ სტუდენტების მიღება პროფესიული განათლების პირველ 3 საფეხურზე
- **უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები**, რომლებიც ავტორიზებულნი არიან განახორციელონ სტუდენტების მიღება პროფესიული განათლების ყველა (ხუთივე) საფეხურზე

სტუდენტებს შეუძლიათ ჩაირიცხოთ სახელმწიფოს მიერ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულების საფუძველზე. უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში მოიცავს სწავლების სამ საფეხურს:

- **საბაკალავრო პროგრამები** – გრძელდება 4 წლის განმავლობაში  
*ან:*
- **ერთ-ციკლიანი პროგრამები** – 3-დან 6 წლამდე პერიოდი
- **მაგისტრატურა** – 2 წლიანი ხანგრძლივობით
- **დოქტორანტურა** – 3 წლის განმავლობაში



საქართველოში უმაღლესი განათლებას უზრუნველყოფს სამი ტიპის დაწესებულება: უნივერსიტეტები, სასწავლო უნივერსიტეტები და კოლეჯები. უნივერსიტეტები ახორციელებენ უმაღლესი აკადემიური განათლებისა და კვლევის სამივე საფეხურს (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები), სასწავლო უნივერსიტეტები უზრუნველყოფენ პირველ ორ საფეხურს (გარდა სადოქტორო პროგრამებისა), ხოლო კოლეჯები სტუდენტებს სთავაზობენ უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის პროგრამებს.

ერთიანი სამაგისტრო გამოცდები და ბაკალავრის ხარისხი (ან მასთან გათანაბრებული ხარისხი) არის სამაგისტრო განათლების საფეხურზე ჩარიცხვის პრერეკვიზიტი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ მიღების დამატებითი წინაპირობები. მხოლოდ მაგისტრის ან მისი გათანაბრებული ხარისხის მქონე პირს აქვს უფლება გააგრძელოს სწავლა სადოქტორო პროგრამებზე.

## დანართი 2: ძირითადი ინდიკატორები

| ეკონომიკა  | 2019წ   |
|--|---------|
| მშპ, მლრდ აშშ დოლარი   | 17.7    |
| მშპ-ს რეალური ზრდა, წ/წ  | 5.1%    |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე, აშშ დოლარი  | 4,764   |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე, PPP   | 13,559  |
| დემოგრაფია   | 2019    |
| მოსახლეობა, '000   | 3,723.5 |
| 14 წელზე ნაკლები ასაკის მოსახლეობა, '000   | 754.5   |
| 15-24 წლის ასაკის მოსახლეობა, '000   | 426.3   |
| შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, დაბადებულთა რიცხვი ერთ ქალზე                                    | 2.0     |
| ურბანიზაციის დონე  | 58.7%   |
| განათლების დასწრების მაჩვენებლები  | 2018    |
| წმინდა დასწრების მაჩვენებელი დაწყებით განათლებაზე  | 99.2%   |
| წმინდა დასწრების მაჩვენებელი საბაზო და საშუალო განათლებაზე                                       | 95.9%   |
| დასწრების მაჩვენებელი უმაღლეს განათლებაზე  | 60.3%   |
| პროფესიულ პროგრამებზე მოსწავლეების წილი საშუალო განათლების (10-12 კლასის) საფეხურის მოსწავლეებში | 2.9%    |
| სახელმწიფო დაფინანსება   | 2019    |
| სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე, %-ად მშპ-თან   | 3.6%    |
| სახელმწიფოს საგანმანათლებლო დანახარჯების წილი მთლიან ხარჯებში                                    | 11.9%   |
| დასაქმება  | 2019    |
| ეკონომიკური აქტივობის დონე   | 62.9%   |
| უმუშევრობის დონე   | 11.6%   |
| დასაქმების დონე  | 55.7%   |
| თვითდასაქმების დონე  | 49.7%   |
| NEET მაჩვენებელი (2018)  | 26.9%   |

წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო, მსოფლიო ბანკი, Eurostat, გალტ & თაგარტი



### დანართი 3: რეფორმები განათლების სექტორში

განათლება ერთ-ერთი პირველი სფერო იყო საქართველოში, რომელმაც განიცადა სწრაფი და რადიკალური ტრანსფორმაცია 2004 წლიდან. საქართველოს მთავრობამ გაატარა ძირეული საგანმანათლებლო რეფორმები, მათ შორის სკოლებისა და უნივერსიტეტების სტრუქტურული ცვლილებები, სასწავლო გეგმისა და პროფესიული განვითარების პროგრამების დანერგვა ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე და სხვა რეფორმები ხარისხის, გამჭვირვალობისა და ეფექტურობის მაღალი დონის მისაღწევად:

- **მენეჯმენტის დეცენტრალიზაცია** 2005 წელს მოხდა ყველა ინსტიტუციურ დონეზე, ავტონომიური გადაწყვეტილებების ხელშეწყობის მიზნით. სამეურვეო საბჭოებმა სკოლებში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეთვალყურეო საბჭოებმა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურმა და წარმომადგენლობითმა საბჭოებმა მიიღეს უფლებამოსილება დამოუკიდებლად მართონ დაწესებულების ადმინისტრაციული და ფინანსური საკითხები.
- **ვაუჩერული დაფინანსების სისტემა**, რაც გულისხმობს მოსწავლეების/სტუდენტების რაოდენობაზე დამოკიდებულ დაფინანსებას, განხორციელდა 2005 წელს, განათლების ყველა დონეზე (პროფესიულ სასწავლებლებში 2013 წლიდან). რეფორმის მიზანი იყო დაფინანსების გამჭვირვალობის გაზრდა, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კონკურენციის გაძლიერება და ფინანსური ავტონომიის უზრუნველყოფა.
- **ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება** 2005 წელს, რამაც უზრუნველყო სტანდარტიზებული შერჩევის სისტემის დანერგვა, კორუფციის აღმოფხვრა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღები პროცესის სამართლიანობა და გამჭვირვალობა.
- **იურიდიული საჯარო პირები**, რომლებიც შეიქმნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში და პასუხისმგებელი არიან ხარისხზე, კონტროლზე, მონაცემთა შეგროვებაზე, განვითარებასა და სტანდარტების დადგენაზე (იხ. დეტალები დანართ 3-ში)
- **საგანმანათლებლო დაწესებულებების სავალდებულო ავტორიზაციის/აკრედიტაციის შემოღება** ყველა საგანმანათლებლო დონეზე, რაც ნიშნავს დაწესებულებების შეფასებას ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 2010 წლიდან მხოლოდ ავტორიზებულ დაწესებულებებს აქვთ უფლება განხორციელონ საგანმანათლებლო საქმიანობა და გასცენ სახელმწიფოსგან აღიარებული ატესტატი/დიპლომი.
- **პროფესიული განვითარების სქემის მიღება**, რომელიც პირველად ამოქმედდა 2010 წელს, შემდეგ კი 2015 წელს განახლდა. დადგინდა სტანდარტები და სასერთიფიკატო სისტემა, კვალიფიციური მასწავლებლის ბაზის შესაქმნელად, უწყვეტი სწავლების წახალისებისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.
- **პირველი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა** 2005 წელს, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა სკოლას ხელმძღვანელობს უკეთესი სწავლების პრაქტიკის და სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით.



## დანართი 4: განათლების სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურა

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აყალიბებს საერთო საგანმანათლებლო პოლიტიკას და პასუხისმგებელია მის შესრულებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. ამასთან, ზოგიერთი ძირითადი ფუნქცია, როგორცაა ხარისხის უზრუნველყოფა, გამოცდების ჩატარება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ინფრასტრუქტურის განვითარება, მეცნიერების განვითარება, ინფორმაცია და სტატისტიკა ენიჭება სამინისტროს ქვეშ მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (იხ. დიაგრამა 3). ეს ინსტიტუტები ფინანსურ სახსრებს მოიპოვებენ, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე საკუთარი საქმიანობიდან.

დიაგრამა 3: განათლების სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურა



წყარო: განათლების სამინისტრო

## დანართი 5: განათლების დაფინანსების მოდელები

მთავრობა საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაფინანსებლად იყენებს ვაუჩერულ მოდელს. ამჟამად, ვაუჩერის ოდენობა ერთ მოსწავლეზე საჯარო სკოლებში მერყეობს 450-დან 800 ლარამდე, სკოლის ზომისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. ვაუჩერის ოდენობა საჯარო სკოლებისთვის 2011 წლიდან ყოველწლიურად იზრდება, თუმცა კერძო სკოლებისთვის კვლავ 300 ლარზეა დაფიქსირებული.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ 100%, 70% და 50%-იანი გრანტი, შესაბამისად წელიწადში 2,250 ლარი, 1,575 ლარი და 1,125 ლარის მოცულობით. საგრანტო (თითო სტუდენტის) დაფინანსების გარდა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ მიიღონ მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება (მხოლოდ საჯარო დაწესებულებებს) და კვლევითი გრანტები.



პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება 2013 წლამდე ხდებოდა ფიქსირებული ვაუჩერის მოდელით. 2013 წლიდან დაინერგა ახალი მოდელი, რომლის მიხედვითაც არსებობს დაფინანსების სამი ძირითადი მექანიზმი: (i) ვაუჩერული დაფინანსება, რაც მიბმულია სტუდენტების რაოდენობაზე; (ii) პროგრამული დაფინანსება პერსონალის ხელფასებისთვის, ადმინისტრაციული და სხვა მიმდინარე ხარჯებისთვის (დაფინანსება ხდება კვარტალურად); (iii) მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება სამინისტროს ინიციატივების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აფინანსებს მხოლოდ სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თუმცა ოფიციალური განცხადებების თანახმად, კერძო პროფესიული ინსტიტუტები ასევე შეძლებენ ვაუჩერული დაფინანსების მოპოვებას.


## დანართი 6: ღია ონლაინ კურსები (MOOCs)

მოსახლეობის დაბერებასთან ერთად განათლების მოქნილი საშუალებების პოპულარობა გლობალურად იზრდება. ღია ონლაინ კურსები (MOOCs), მაღალი მოქნილობისა და ხელმისაწვდომის წყალობით, იკავებს მნიშვნელოვან ადგილს განათლების სექტორში. ღია ონლაინ კურსები, როგორც წესი, წამყვან უნივერსიტეტებთან პარტნიორობით, აწვდის მომხმარებელს სხვადასხვა თემებზე მოკლე ვიდეო-ლექციებს, ციფრულ სახელმძღვანელოებისა და დავალებებს, უზრუნველყოფს ეფექტურ უკუკავშირს და გასცემს სერთიფიკატებს.

ადგილობრივი ელექტრონული საგანმანათლებლო ბაზის არარსებობის პირობებში, საქართველოს მოსახლეობა იყენებს საერთაშორისო წამყვანი პროვაიდერების სერვისებს, როგორებიცაა Khanacademy, Udemy, Edx და Coursera. Khanacademy არის ყველაზე პოპულარული პლატფორმა საქართველოში (1.4 მილიონზე მეტი ვიზიტი 2019-20). ვებ-გვერდზე მასალა ნათარგმნია ქართულ ენაზეც, რაც განაპირობებს იმას, რომ ქართველების აქტიურობა საიტზე მაღალია რეგიონის ქვეყნებთან შედარებით. თუმცა, საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას ჩამორჩება სხვა პლატფორმებზე ვიზიტების რაოდენობით (მოსახლეობის ზომასთან შეფარდებით).

### გრაფიკი 63: ღია ონლაინ კურსების პოპულარობა საქართველოში იზრდება

ტოპ MOOC-ებზე ვიზიტები საქართველოდან, იან-მარ 2020



წყარო: SimilarWeb

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არის განვითარებული MOOCs ბაზარი, არსებობს ონლაინ კურსების რამდენიმე წარმატებული მცდელობა,






მაგალითად, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსები (Nebula.ge) და უცხოური ენების ონლაინ პლატფორმა (Lingwing.com).

**ცხრილი 11: Khanacademy პოპულარულია საქართველოში, ხოლო Udemy შესადარის ქვეყნებში**

ვიზიტების რაოდენობა შეფარდებული მოსახლეობის რაოდენობასთან, აპრილი 2019-დან აპრილი 2020-მდე




წყარო: SimilarWeb, მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი

**დანართი 7: დასწრების მაჩვენებლები გლობალურად**

განათლებაზე მოთხოვნა გლობალურად იზრდება. ეკონომიკურმა განვითარებამ ხელი შეუწყო დასწრების მაჩვენებლის გაუმჯობესებას განათლების ყველა საფეხურზე, განსაკუთრებით დაწყებით განათლებაში, სადაც მსოფლიო საშუალო დონემ 90.5%-ს მიაღწია (2018). აღსანიშნავია, რომ საბაზო და უმაღლესი განათლების დასწრების დონით ჯერ კიდევ დიდი სხვაობაა მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად რეგიონებს შორის.

**გრაფიკი 64: საბაზო და უმაღლესი განათლების დასწრების დონით ჯერ კიდევ დიდი სხვაობაა მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად რეგიონებს შორის**

განათლებაზე დასწრების მაჩვენებელი საფეხურების მიხედვით, 2018



წყარო: მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი




ეკონომიკური განვითარება და გაზრდილი განკარგვადი შემოსავლები ზრდის მოთხოვნას საგანმანათლებლო სერვისებზე (იხ. გრაფიკი 65). დასწრების მაჩვენებლებზე ეკონომიკური ფაქტორების გარდა, დემოგრაფიული ტენდენციები ახდენს გავლენას: ახალგაზრდა მოსახლეობის დიდი წილი განვითარებად ქვეყნებში და ხანდაზმული მოსახლეობა დასავლეთ სამყაროში განსაზღვრავს განათლების სექტორის სტრუქტურას.

საქართველო აქვს მაღალი დასწრების მაჩვენებლები (მსოფლიო საშუალოზე მეტი) საბაზო განათლების საფეხურზე, მაგრამ გაუმჯობესების მიუხედავად, უმაღლეს განათლებაზე დასწრების მაჩვენებელი (+26.2 პროცენტული პუნქტი 60.3%-მდე 2008-18 წლებში) კვლავ ჩამორჩება რეგიონის განვითარებული და შესადარისი ქვეყნების დონეს. საქართველოში დემოგრაფიული ტენდენციები, განვითარებული ქვეყნების მსგავსად, არის შობადობის დაბალი მაჩვენებელი და მოსახლეობის დაბერება, რაც განაპირობებს ზრდასრულთა განათლების სექტორის ზრდას.

**გრაფიკი 65: შემოსავლების ზრდასთან ერთად იმატებს ჩარიცხვის მაჩვენებლები ყველა საფეხურზე**


ჩარიცხვის მაჩვენებლები ქვეყნების შემოსავლიანობის მიხედვით, 2018



წყარო: მსოფლიო ბანკი  
შენიშვნა: ქვეყნების კლასიფიკაცია მეშ-ის მიხედვით

**გრაფიკი 66: დაწყებითი განათლება წამყვანია დაბალ-შემოსავლიან ქვეყნებში**

მოსწავლეების/სტუდენტების განაწილება ქვეყნების შემოსავლიანობის მიხედვით



წყარო: UNESCO, განათლების სამინისტრო, გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: ქვეყნების კლასიფიკაცია მეშ-ის მიხედვით

**დანართი 8: დემოგრაფიული ტრენდები**

**ურბანიზაცია**

ურბანიზაცია ზრდის მოთხოვნას განათლებაზე, რადგან მოსახლეობა სარგებლობს უფრო მაღალი შემოსავლებით და წვდომით საგანმანათლებლო რესურსებზე. რადგანაც საგანმანათლებლო დაწესებულებები, განსაკუთრებით პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურზე, ძირითადად, კონცენტრირებულია ქალაქებში, განათლების ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო მცირდება სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის. საცხოვრებელი და სხვა არაპირდაპირი ხარჯები, სოფლის მოსახლეობის საშუალოზე დაბალი შემოსავლის ფონზე, მკვეთრად ამცირებს განათლების ხელმისაწვდომობას. ამასთან, განათლებას ქალაქებში აქვს უფრო მაღალი ეკონომიკური სარგებელი, რაც საგანმანათლებლო სერვისებზე მოთხოვნას კიდევ უფრო ზრდის.




პოზიტიური ტენდენციის მიუხედავად, ურბანიზაციის მაჩვენებელი საქართველოში (+1.8 პროცენტული პუნქტი 58.3%-მდე 2008-18 წლებში) ჩამორჩება ევროპისა და ცენტრალური აზიის განვითარებად ეკონომიკებს (66.8%) და ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (75.4%)<sup>10</sup>. ეკონომიკური განვითარება და ურბანიზაციის ზრდა, გაზრდის მოთხოვნას განათლების ყველა საფეხურზე.

### დემოგრაფია

მოსახლეობის დაბერება სერიოზული გამოწვევაა საქართველოს განათლების სექტორისთვის. 2014-16 წლებში შობადობის გაზრდილი ტალღა ხელს შეუწყობს სასკოლო განათლებაზე მოთხოვნას საშუალო ვადაში, თუმცა შობადობის დადმავალი ტენდენციის გათვალისწინებით, გრძელვადიანი პროგნოზი არასახარბიელოა. დაბალი შობადობის გარდა, მნიშვნელოვანი პრობლემა ემიგრაციის ნაკადები საქართველოდან. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები ყველაზე მეტად ტოვებენ საქართველოს, ემიგრაციის დონე განსაკუთრებით მაღალია 20-24 და 25-29 ასაკობრივ ჯგუფებში.

### გრაფიკი 67: საქართველოს მოსახლეობა ბერდება

მოსახლეობის ასაკობრივი პირამიდა საქართველოში



წყარო: საქსტატი, მსოფლიო ბანკი, გალტ & თავარტი

5-34 წლის ასაკის მოსახლეობა - ზოგადი და უმაღლესი განათლების პოტენციური მომხმარებლები - შემცირდა 22.2%-ით 1.4 მილიონამდე 2000-20 წლებში და 2040 წლისთვის შემცირდება 1.2 მილიონამდე. ამ ასაკობრივი ჯგუფის წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში (39%) ოდნავ დაბალია, ვიდრე შესადარის ქვეყნებში (42%)<sup>11</sup>, მაგრამ უფრო მაღალი ვიდრე განვითარებულ ეკონომიკებში (33% ევროკავშირში), 2019 წლის მდგომარეობით. მიმდინარე ტრენდების გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა დაუახლოვდება ევროპის მაჩვენებლებს.


<sup>10</sup> 2017 წლის მონაცემები

<sup>11</sup> ევროპა და ცენტრალური აზია მაღალუმოსავლიანი ქვეყნების გარდა



გრაფიკი 68: 5-34 წლის ასაკის მოსახლეობის წილით საქართველო დაუახლოვდება ევროპის საშუალო მაჩვენებელს

5-34 წლის მოსახლეობის წილი, %



წყარო: მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი



## მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზარებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზარებზე ინვესტირებისთვის, და მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაველითი ურუნხოს რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილული იქნას, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების შიდად. დოკუმენტის მიმღებებს მოუთხოვება ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილშინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერი იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცემული არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვა.

**კვლევების დეპარტამენტის უფროსი**  
ევა ბოჭორიშვილი | [evabochorishvili@gt.ge](mailto:evabochorishvili@gt.ge)

**მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების უფროსი**  
ლაშა ქავთარაძე | [lashakavtaradze@gt.ge](mailto:lashakavtaradze@gt.ge)

**ანალიტიკური განყოფილების უფროსი**  
გიორგი ირემაშვილი | [giremashvili@gt.ge](mailto:giremashvili@gt.ge)

**სექტორული კვლევების განყოფილების უფროსი**  
ბაჩანა შენგელია | [bshengelia@gt.ge](mailto:bshengelia@gt.ge)

**უფროსი ანალიტიკოსი**  
მარიამ ჩახვაშვილი | [mchakhvashvili@gt.ge](mailto:mchakhvashvili@gt.ge)

**უფროსი ანალიტიკოსი**  
ანა ნაჭყეია | [ananachkebia@gt.ge](mailto:ananachkebia@gt.ge)

**უფროსი ანალიტიკოსი**  
კახაბერ სამყურაშვილი | [ksamkurashvili@gt.ge](mailto:ksamkurashvili@gt.ge)

**ანალიტიკოსი**  
თათია მამრიკიშვილი | [tmamrikishvili@gt.ge](mailto:tmamrikishvili@gt.ge)

**ანალიტიკოსი**  
ნინო პერანიძე | [ninoperanidze@gt.ge](mailto:ninoperanidze@gt.ge)

**ანალიტიკოსი**  
ნიკა მეგუთნიშვილი | [nmegutnishvili@gt.ge](mailto:nmegutnishvili@gt.ge)

**მისამართი:** მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ-ფოსტა:** [research@gt.ge](mailto:research@gt.ge)